

171

974 საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო



გაქანებათა და ინსტრუქციათა

ქ რ ე ბ უ ლ ი

3

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მ ა რ ტ ი

თბილისი 1974

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

დადგენილება

1973 წლის 24 დეკემბერი

1973-1974 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნა-
ტებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზა-
დებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და გა-
ნათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1973-1974 სასწავლო წლის წარმა-
ტებით მოსამზადებლად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს,
სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს შო-
რის დროულად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა სერი-
ოზული დახმარება გაუწიეს სკოლებს მატერიალური ბაზის განმტ-
კიცებაში. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, წარმოებო-
დაწესებულებებმა თავიანთი სახსრებით სკოლების მშენებლობაზე,
არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებისა და
კაბინეტლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და წიგ-
ნებითა და სხვა თვალსაჩინო მასალებით შევსებაზე დახარჯეს 4,765
მილიონი მანეთი.

სახელმწიფო კაპდაბანდებით 1973 წელს ექსპლოატაციაში შე-
ვიდა 61 სასკოლო შენობა 26238 მოსწავლე ადგილით.

ქ. შატავის სახ.
სახელმწიფო რესპ.
ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას და ლაგოდეხის რაიონებმა.

აღნიშნულ ქალაქსა და რაიონებში შესრულდა სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე სათანადო წარმატებები მოიპოვეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ ქ. თბილისის, ქობულეთის, გორის, ქარელის, თელავის, გალის, ცხინვალის, მცხეთისა და წალენჯიხის რაიონები.

მიუხედავად ამისა, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და შედეგების დაჯამების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები არ წარმოდგენიან ქალაქებს — ფოთს, რუსთავსა და ტყვარჩელს, ბოგდანოვკის, მაიაკოვსკის, ლენტეხისა და სოხუმის რაიონებს.

სოციალისტური შეჯიბრების მასალები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების გარეშე წარმოადგინა 29, ხოლო მოხსენებითი ბარათის გარეშე — 21 რაიონის განათლების განყოფილებამ.

ქ. გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ლენტეხის, მესტიის, თეთრი წყაროს, ხაშურისა და გაგრის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ სოციალისტური შეჯიბრების მასალების წარმოდგენას. სოცშეჯიბრის ფორმები გამოვზავენეს აღმასკომის დადგენილებისა და მოხსენებითი ბარათის გარეშე, რის გამო ისინი არ განხილულა.

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურად იყო გაშლილი. არ ჩატარებულა სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების დაჯამება და არ მომხდარა გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადაცემა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების

მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. 1973-1974 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს ზუგდიდის რაიონს, ხოლო დარჩეს ქ. ქუთაისს.

ზუგდიდის რაიონსა და ქ. ქუთაისს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1500-1500 მანეთი თითოეულს სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

2. 1973-1974 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეთ მახარაძის, ცხაკაიასა და ლაგოდეხის რაიონებს.

მახარაძის, ცხაკაიასა და ლაგოდეხის რაიონებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1000-1000 მანეთი თითოეულს სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

3. 1973-1974 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით (სიის მიხედვით).

4. აღინიშნოს, რომ ქ. თბილისსა და ქობულეთის რაიონს ახალი, 1973-1974 სასწავლო წლის მომზადებისათვის სერიოზული მუშაობა აქვთ ჩატარებული და იმსახურებენ დროშით დაჯილდოებას, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვთ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში.

5. დავალოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელ კომისიას (ამხ. დ. იოსელიანს) ორი კვირის განმავლობაში

მომზადოს და განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის პრეზიდიუმს განსახილველად წარმოუდგინოს 1974-1975 წლის წავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური ჯიბრების გაშლის პროექტი.

6. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

„ვამტკიცებ“

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

24 იანვარი, 1974 წელი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის
რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

1. კაბინეტის ამოცანები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს დაწესებულებას, რომლის შიზანია მეთოდური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში ყველა ტიპის სკოლებს, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებსა და სახალხო განათლების ორგანოებს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანების გადაწყვეტასა და მათი აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმების, შინაარსისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდ-კაბინეტი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს გამგებლობაში და თავის მუშაობას წარმართავს მასთან შეთანხმებით.

2. კაბინეტის მუშაობის შინაარსი

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი:

ა) ამყარებს მჭიდრო კონტაქტს სათანადო დარგების სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან: პედაგოგიკურ მეცნიერებათა სა-

მეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან და პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამის კათედრებთან;

ბ) მონაწილეობს დახელოვნების ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რომლებიც დაკავშირებულია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებთან;

გ) შეისწავლის და განაზოგადებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში მოწინავე პედაგოგთა მუშაობის გამოცდილებას;

დ) ხელს უწყობს მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში;

ე) მონაწილეობს დებულობს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებზე ზონალური და რესპუბლიკური კონფერენციების, თათბირ-სემინარების მომზადებასა და ჩატარებაში;

ვ) შეიმუშავებს და გამოსცემს მეთოდურ წერილებს, პროგრამებსა და რეკომენდაციებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებზე;

ზ) განაზოგადებს მოწინავე გამოცდილებას და მის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ყველა ტიპის სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, მშობელთა კომიტეტებისა და სახლმმართველობების პედაგოგ-ორგანიზატორებისათვის სკოლის მიკრორაიონში არასასწავლო დროს ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებზე;

თ) თარგმნის და ამუშავებს რესპუბლიკის პირობების შესაბამისად საკავშირო განათლების სამინისტროს მიერ შეიმუშავებულ საწრეო-საორიენტაციო პროგრამებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისათვის;

ი) მუშაობაში ოპერატიული დახმარების განხორციელებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, პერიოდულად გამოსცემს ბიულეტენს;

კ) კოორდინაციის მიზნით, სკოლისგარეშე რესპუბლიკური დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად, შეიმუშავებს რესპუბლიკურ მასობრივ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას და წარუდგენს განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად;

ლ) ადგილზე შეისწავლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში და, საჭირო შემთხვევაში, გააქვს საკითხი კოლეგიაზე განსახილველად;

მ) კაბინეტი თავის მუშაობას წარმართავს სკოლისგარეშე რესპუბლიკურ დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში და მათ ბაზაზე;

- ნ) მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით, კაბინეტი კვ-
შირს ამყარებს მოძმე რესპუბლიკების ანალოგიურ კაბინეტებთან;
- ო) მონაწილეობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასწავლო-
აღმზრდელი მუშაობის კომპლექსურ და თემატურ შემოწ-
მებაში.

3. კაბინეტის შტატი და სტრუქტურა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის შტატი შედგება:


- ა) დირექტორის, მეთოდისტებისა და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალისაგან;
- ბ) კაბინეტის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;
- გ) კაბინეტთან ყალიბდება რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;
- დ) კაბინეტში შეიძლება ჩამოყალიბდეს დარგობრივი სექტორები არსებული შტატების ფარგლებში.

4. კაბინეტის დირექტორის უფლება-მოვალეობანი

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორის უფლება-მოვალეობაში შედის:

- ა) კაბინეტისადმი საერთო ხელმძღვანელობა და მისგან წარმომადგენლობა;
- ბ) კაბინეტის მეთოდურ-სამეურნეო და ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა;
- გ) თანამშრომელთა მიღება-განთავისუფლება;
- დ) მუშაობის მაღალი პროდუქტიულობისა და კაბინეტში თანამშრომლების მიერ შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა ხელმძღვანელობა;
- ე) კაბინეტის მუშაობის საჭიროებისათვის საბიუჯეტო ასიგნებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში სხვადასხვა სახის ხელშეკ-

რულებათა დადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს-
თან წინასწარი შეთანხმებით.



~5. კაბინეტის სახსრები და იურიდიული უფლებანი:

ა) კაბინეტი რესპუბლიკურ ბიუჯეტზეა და სახსრების ხარჯვას აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

ბ) კაბინეტს აქვს საკუთარი ბეჭედი და შტამპი, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1974 წლის 4 თებერვლის ბრძანება № 64

სასკოლო პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობის
შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა

შ ე ს ა ხ ე ბ

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკოლების, აგრეთვე მეთოდკაბინეტთან არსებულმა პედაგოგიურმა ბიბლიოთეკებმა ბოლო ხანებში ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა, სასკოლო პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობაში კვლავ შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში, მოსწავლეთა კითხვაში და ა. შ.

სასკოლო პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, მეთოდკაბინეტების დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო და მეთოდკაბინეტებთან არსებული პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობას; გახადონ ისინი მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურების კერებად, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკები მოსწავლეთა კითხვის ხელმძღვანელებად, მა აღწიონ იმას, რომ არ დარჩეს არცერთი მოსწავლე ბიბლიოთეკური მომსახურების გარეშე, რისთვისაც მჭიდრო კავშირი დაამყარონ საქალაქო, სარაიონო, საბავშვო, სადაბო, სასოფლო და სხვა უწყებების ბიბლიოთეკებთან;

ბ) გამოუყონ ბიბლიოთეკებს შესაფერისი ბინები, ხოლო დაწყებით სკოლაში, სადაც არ არის ცალკე ოთახის გამოყოფის შესაძლებლობა, წიგნაღი ფონდი იქონიონ კარადებში;

გ) უზრუნველყონ პედაგოგიური ბიბლიოთეკების წიგნაღწეონდის სისტემატური შევსება პოლიტიკური, პედაგოგიური, სამეცნიერო-მეთოდური, მხატვრული ლიტერატურით; არ დაუშვან ლიტერატურის შესაძენი თანხის აუთენისებლობა, ან უმიზნო ათვისება; მიაღწიონ იმას, რომ ყოველი ახალი გამოსული წიგნი, რომელიც აუცილებელია პედაგოგიური ბიბლიოთეკისათვის, შეძენილ იქნეს თავის დროზე, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან ბიბლიოთეკებში ახლადგამოსული და საჭირო ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები;

დ) მიაღწიონ იმას, რომ სკოლების დირექტორები (გამგებები), მოადგილეები, პიონერხელმძღვანელები და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკები, ბიბლიოთეკის გამგე-ბიბლიოთეკარები (შტატით მუშაობს ის თუ საზოგადოებრივ საწყისზე), განსაკუთრებით მეთოდკაბინეტის მუშაკები, კარგად იცნობდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1973 წლის 25 ოქტომბრის დამტკიცებულ სასკოლო ბიბლიოთეკის დებულებასა და საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმს;

ე) მიაღწიონ იმას, რომ პედაგოგიური ბიბლიოთეკები სრულად აკმაყოფილებდნენ მასწავლებელთა მზარდ მოთხოვნილებებს წიგნებზე, აგრეთვე მოსწავლეთა მოთხოვნილებას იმ ლიტერატურაზე, რომელიც შეიცავს მასალებს სასკოლო პროგრამის გარშემო;

ვ) სკოლების ინსპექტირებისას აუცილებლად შეისწავლონ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა, ადგილებზე გაუწიონ მათ საჭირო დახმარება, დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი ბიბლიოთეკების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო (პედაგოგიური) ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითადი სახეებით ყოველწლიურ (ყოველი ახალი წლის პირველი იანვრის მდგომარეობით) სწორ აღრიცხვასა და 25 იანვრამდე ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში წარდგენას;

თ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა დაწყებით, რვაწლიან, საშუალო სკოლას, სკოლა-ინტერნატს, სპეციალურ სკოლას შენახული ჰქონდეს ანგარიშების ასლები, რომლებიც მათ წარუდგინეს 1973 წლის იანვარში განყოფილებებს, რათა მომდევნო წლებში ბიბლიოთეკების მუშაობის ანგარიშის შედგენისას გამოიყენონ ისინი შეჯერებისათვის.



2. ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (ამხ. ვ. გოგოლაძემ):

ა) შეიმუშაოს პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითადი მონაცემების აღრიცხვის ფორმა და მეთოდურ წერილთან ერთად, რომელშიც მოცემული იქნება ამ ფორმის შევსებისათვის საჭირო ახსნა-განმარტება, დაუგზავნოს ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას;

ბ) დააჯამოს ადგილებიდან მიღებული მასალები და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

გ) შეადგინოს და ყოველთვიურად მიაწოდოს სასკოლო პედაგოგიურ ბიბლიოთეკებს ახალგამოცემული საჭირო ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) შეისწავლოს საკითხი ყველა მეთოდკაბინეტთან ბიბლიოთეკის შექმნისა და მისთვის ბიბლიოთეკის გამგე-ბიბლიოთეკარის შტატის გამოყოფის შესაძლებლობის შემახებ და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაქმა) სკოლების ინსპექტირების დროს, როგორც წესი, შეისწავლოს და გააანალიზოს სასკოლო პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობა.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1974 წლის 5 თებერვლის ბრძანება № 72

ქ. ჭიათურის, აბაშის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, საჩხერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა ქ. ჭიათურის, აბაშის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, საჩხერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. გ. ცხადიაშვილის, ა. ცანავეს, პ. კობრიძის, ვ. ჩიკაშუას, ხ. ხავთასის, ვ. აბულაძის, კ. ძნელაძის, ა. ლომიძის, ვ. ბელქანიას, კ. შარტავეს, მ. კეკელიძის, ვ. როდონიას ანგარიშები საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასახელებულ ქალაქსა და რაიონებს ამ საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. წინა წლებში სწავლას ჩამოცილებული სასკოლო ასაკის ბავშვებიდან დაბრუნებულ იქნენ: ქ. ჭიათურაში მხოლოდ 9 ბავშვი, აბაშის რაიონში — 3, ვანის — 4, ლანჩხუთის — 8, მახარაძის — 4, მაიაკოვსკის — 8, სამტრედიის — 9, საჩხერის — 10, წალენჯიხის — 11, ცხაკაიას — 16, ჩოხატაურის — 7, ჩხოროწყუს რაიონში — 1.

0—X კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმას დააკლდა: ქ. ჭიათურაში — 149, აბაშის რაიონში — 39, ვანის — 17, ლანჩხუთის — 158, მახარაძის — 326, მაიაკ-

ოვსკის — 207, სამტრედიის — 243, წალენჯიხის — 133, ჩოხატაურის რაიონში — 158 ბავშვი.

სალამოს სკოლებში მოსწავლეთა კონტინენტის გვეგმის რაოდენობა დააკლდა ქ. ჭიათურაში მოსწავლეთა 3,9%, აბაშის რაიონში — 44,8%, მახარადის — 21,5%, მიაკოვსკის — 27,1% სამტრედიის — 90, საჩხერის — 22,3%, ცხაკაიას რაიონში — 33,4% მაშინ, როდესაც ამ რაიონებში საგრძნობლად მცირეა სწავლებაში ჩაბმული მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის რიცხვი, რომელთაც რეაწლიანი და საშუალო განათლება არ აქვთ. ქ. ჭიათურაში 16-29 წლის 1532 ახალგაზრდაა, რომელსაც არ აქვს რეაწლიანი და საშუალო განათლება, აბაშის რაიონში — 330, ვანის — 301, ლანჩხუთის — 286, მახარადის — 579, მიაკოვსკის — 432, ცხაკაიას — 67, ჩოხატაურის — 104, ჩხოროწყუს რაიონში — 233.

დიდია სკოლების 0-8 კლასებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. ქ. ჭიათურის სკოლებიდან 1972-1973 სასწავლო წელს გავიდა 330 ბავშვი, მათ შორის სალამოს სკოლებში — 85, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 12, განითესა — 4; აბაშის რაიონის სკოლებიდან — 112; ვანის რაიონის სკოლებიდან — 66, მათ შორის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო — 14; ლანჩხუთის რაიონის სკოლებიდან — 73, მათ შორის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო — 10; მახარადის რაიონის სკოლებიდან — 287, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 71; მიაკოვსკის რაიონის სკოლებიდან — 74; სამტრედიის რაიონის სკოლებიდან — 247, მათ შორის სალამოს სკოლებში — 34; საჩხერის რაიონის სკოლებიდან — 144, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 55, წალენჯიხის რაიონის სკოლებიდან — 159, მათ შორის ხანგრძლივი ავადმყოფობით — 25; ცხაკაიას რაიონის სკოლებიდან — 239, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 10, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო — 7, ჩოხატაურის რაიონის სკოლებიდან — 83, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 6; ჩხოროწყუს რაიონის სკოლებიდან — 67, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 16 ბავშვი.

მოუთმენლად დიდია სალამოს სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. ქ. ჭიათურის სკოლებიდან გავიდა 1972-1973 სასწავლო წელს მოსწავლეთა კონტინენტის — 31%, აბაშის რაიონის სკოლებიდან 20,3%, ვანის — 14,8%, ლანჩხუთის — 19,8%, მახარადის — 19,8%, მიაკოვსკის — 38,2%, სამტრედიის — 11,6%; საჩ-

ბერის — 21,5%, წალენჯიხის — 27,5%, ცხაკაიას — 23,3%, ჩოხატაურის — 14,6%, ჩხოროწყუს — 5,4%.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საქართველოში არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინენტის შესანარჩუნებლად. ქ. ქიათურაში 1966-1967 სასწავლო წელს I კლასში მიღებულთაგან ამაჟამად მე-8 კლასში სწავლობს მოსწავლეთა 89,8%, აბაშის რაიონში — 93,3%, ლანჩხუთის — 93%, მახარაძის — 94,3%, მაიაკოვსკის — 92-1%, სამტრედიის — 75,7%, საჩხერის — 97,1%, წალენჯიხის — 84,8%, ცხაკაიას — 92,4%, ჩოხატაურის — 86,6%, ჩხოროწყუს რაიონში — 89,5%.

მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის ძირითადი მიზეზია აკადემიურად ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა. სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები ნაკლებად მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, რის გამო მათი გარკვეული ნაწილი ტოვებს სკოლას. წალენჯიხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1973-1974 სასწავლო წელს არ გამოცხადდა სასწავლებლად 53 მეორეწლიანი მოსწავლე, ლანჩხუთის რაიონში — 27, სამტრედიის — 26, ვანის — 19, ჩოხატაურის — 16, ცხაკაიას — 9, საჩხერის — 7, ჩხოროწყუს — 6, ქ. ქიათურაში — 47 მეორეწლიანი მოსწავლე.

მეორეწლიანებთან ცუდ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქ. ქიათურის სკოლებში მესამე წელს დატოვებულ იქნა 57 მოსწავლე, აბაშის რაიონში — 1, ვანის — 4, ლანჩხუთის — 11, მახარაძის — 15, მათ შორის ლაითურის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. მკერვალი) მესამედ იქნა დატოვებული 11 მოსწავლე. სამტრედიის — 3, ჩხოროწყუს რაიონში მესამე წელს დატოვებულია 8 მოსწავლე.

განათლების განყოფილებები და სკოლები უპასუხისმგებლოდ და დაუდევრად ეკიდებიან სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სტატისტიკური ფორმების შევსების საქმეს. მახარაძის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. ხ. ხეთასი) სტატისტიკურ ფორმებში ნაჩვენები აქვს, რომ 1972-1973 სასწავლო წლის განმავლობაში ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გადასულა IV-VIII კლასების — 71 მოსწავლე, მათ შორის ნატანების საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. მახარაძე) — 11, ლაითუ-

რის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. მკერვალი), — 8, ბაზვის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ბ. მდინარაძე) — 4, ასკანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი რ. ნინიძე) — 4, ანასეულის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. მორჩილაძე) — 3, ამავე სკოლიდან ვენებია IV-VIII კლასის 3 ბავშვი, რომლებიც სამუშაოს დაწყების გამო არ სწავლობს; ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. კ. შარტავა) — 20, მათ შორის ცხაკაიას მე-4 რუსული სკოლიდან (დირექტორი ე. კერძია) — 4, მე-5 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ბერაია) — 10, ნოსირის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ქ. თოდუა) — 3, ძველი სენაკის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. მიქაძე) — 3; ჩოხატაურის რაიონის შუაგანახლების საშუალო სკოლიდან — 2, ქვაბლის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. თოლორდავა) — 2, ჩხოროწყუს რაიონის ლეწურწუმეს საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. ხუნტუა) — 5, კირცხის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ჯიქია) — 2, ზუმის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ლ. ჩიქოვანი) — 4, ხაბუმის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ბ. ჩალიგავა) — 4.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები ვერ აღწევენ იმას, რომ ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ყველა ბავშვი ჩაბმულ იქნეს სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. ქ. ჭიათურაში არ არის სწავლებაში ჩაბმული ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე 10 ბავშვი, აბაშის რაიონში — 8, ვანის — 21, მახარაძის — 17, მაიაკოვსკის — 36, სამტრედიის — 34, საჩხერის — 21, წალენჯიხის — 21, ცხაკაიას — 18, ჩოხატაურის — 27, ჩხოროწყუს რაიონში — 18 ბავშვი.

არაღმაცმாயრფილებელია სკოლებში მოსწავლეთა შეგნებულ დისციპლინა. ქ. ჭიათურის სკოლებში 1972-1973 სასწავლო წელს გაცდენილი იყო 314.675 გაკვეთილი, მათ შორის არასაპატიო მიზეზით — 93.694, შესაბამისად აბაშის რაიონში — 1400-1040, ვანის — 46951-18510, მახარაძის — 196.526-3544, მაიაკოვსკის — 143425-27741, საჩხერის — 218321-70769, წალენჯიხის — 235278-59979, ცხაკაიას — 168804-39525, ჩხოროწყუს რაიონის სკოლებში გაცდენილია 146602 გაკვეთილი, მათ შორის არასაპატიო მიზეზით — 23713.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლების პედაგოგიკური ქმედით ზომებს არ ღებულობენ არასრულწლო-

საბავშვო რეპეტიტორთა
ბინა

ვანთა დანაშაულებრივი მოქმედების თავიდან ასაცილებლად, რის გამო ჯერ კიდევ ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მიერ დევნილების ჩადენისა და სამართალდარღვევის ფაქტებს. ქ. ჭიათურაში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა კომისიამ გააჩინა არასრულწლოვანთა 71 საქმე. აბაშის რაიონის არასრულწლოვანთა კომისიას განხილული აქვს 16 შემთხვევა. ვანის რაიონში — 9, ლანჩხუთის რაიონში — 11, მაიაკოვსკის რაიონში — 20, საჩხერის რაიონში — 35; წალენჯიხის რაიონში — 5, ცხაკაიას რაიონში — 27, ჩოხატაურის რაიონში — 13, ჩხოროწყუს რაიონში — 12.

სკოლები არ არის უზრუნველყოფილი შესაფერისი სასკოლო შენობებით, დგამ-ავეჯითა და სასწავლო კაბინეტებით. ქ. ჭიათურაში მე-2 ცვლაში მეცადინეობს 3781 ბავშვი, აბაშის რაიონში — 212, ვანის — 2060, ლანჩხუთის — 730, მახარაძის — 1721, მაიაკოვსკის — 619, სამტრედიის — 888, საჩხერის — 1642, წალენჯიხის — 299, ცხაკაიას — 1047, ჩოხატაურის — 140, ჩხოროწყუს რაიონში მეორე ცვლაში მეცადინეობს 137 ბავშვი.

ზოგან არ არის შესრულებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და კონტინენტის გეგმა. ქ. ჭიათურასა და აბაშის რაიონში არცერთი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის, ვანის რაიონში მხოლოდ 8 ჯგუფია გახსნილი, ლანჩხუთის — 8, მაიაკოვსკის — 15, საჩხერის რაიონში — 14 და ა. შ.

ზოგიერთ რაიონში არ სრულდება მთავრობის დადგენილება მოსწავლეთა სკოლებში უფასო გადაყვანის შესახებ. ქ. ჭიათურის სოფ. ქვაციხის, წირქვალის, ითხვისის, სვერის საშუალო, ვანის რაიონის ონჯოხეთის, გადიდის რვაწლიან, ზენობის, ციხესულორის დაწყებითი სკოლების მოსწავლეები არ სარგებლობენ უფასო ტრანსპორტით. მაიაკოვსკის რაიონში ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტობუსებს უფასოდ გადაჰყავთ მოსწავლეები, მაგრამ ზოგჯერ არის შეფერხებები ზეგან-საკრალას, მაიაკოვსკი — ობჩის გზებზე, რადგან ავტობუსები ხშირად ვადატვირთულია მგზავრებით და მოსწავლეთა უფასო გადაყვანა ვერ ხერხდება.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი 1972 წელს ვანის რაიონმა 9500 მანეთიდან აითვისა მხოლოდ 5800 მანეთი, ლანჩხუთის — 10000-დან — 9400, მახარაძის — 16000-დან — 14400,

მაიაკოვსკის — 7000-6200, საჩხერის 14000-10.600, ჩხოროწყუს რაიონში 8000 მანეთიდან აითვისა 7200 მანეთი.

შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონებში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ჭიათურის, აბაშის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, საჩხერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. გ. ცხადიაშვილმა, ა. ცანავამ, პ. კობრეიძემ, ვ. ბელქანიამ, კ. შარტავამ, მ. კეკელიძემ, ვ. როდონაიამ:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდებლობითი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად, დარაზმონ განათლების მუშაკები, სკოლების ხელმძღვანელები, მასწავლებელთა და მშრომელთა კოლექტივები მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონის ასამაღლებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექციონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენილობას;

ბ) აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სტატისტიკური ფორმების შევსების სიზუსტეზე;

გ) ყველა ზომა მიიღონ სასკოლო დისციპლინის განსამტკიცებლად, მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის ლიკვიდაციისათვის;

დ) საჭირო ღონისძიებები განახორციელონ სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების სრულყოფილად მოსაწყობად, საჭირო იარაღ-მოწყობილობებითა და რეაქტივებით უზრუნველსაყოფად;

ე) პრაქტიკული ნაბიჯები გადატანონ სასკოლო ინტერნატებისა და გაზანგრიძილებული დღის ჯგუფების ქსელის გასაშლელად და მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ვ) ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა კონტინგენტის შესაზღოვანებლად. სასოფლო საბჭოებთან და სახლმმართველობებთან ერთად, კარდაკარ ჩამოვლით, ზუსტად აღრიცხონ სწავლას ჩვენს სკოლებში მყოფი ბავშვები და უზრუნველყონ მათი უკლებლო სწავლებამო ჩაბმა 1974-1975 სასწავლო წლიდან.

2. მახარაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის დირექტორს ე. მახარაძეს, ლაითურის საშუალო სკოლის დირექტორს გ. მკერვალს, ჩხოროწყუს რაიონის ლეწურწყუმეს საშუალო სკოლის დირექტორს კ. ხუნტუას საყოველთაო სწავლების კანონის გატარების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სტატისტიკური ფორმების დაუდევრად შევსებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. მახარაძის რაიონის ბახვის საშუალო სკოლის დირექტორს რ. ნინიძეს, ცხაკაიას მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს ე. კერძაიას, მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბერაიას, ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორს ე. თოლორდავას, ჩხოროწყუს რაიონის ზუმის საშუალო სკოლის დირექტორს ლ. ჩიქოვანს, ხაბუმის საშუალო სკოლის დირექტორს ბ. ჩალიგავას, კირცხის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჯიქიას სასკოლო ასაკის ბავშვთა არასწორად აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშების დაუდევრად შევსებისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლის დირექტორი ქ. თოდუა განთავისუფლებულია დირექტორის თანამდებობიდან.

5. მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი: ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგე გ. ცხადიაშვილი, მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ხ. ხავთასი, ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. როდონია, საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ლომიძე.

6. სკოლების სამმართველომ უახლოეს მომავალში შეისწავლოს საჩხერის რაიონის სკოლებიდან ავადმყოფობის მიზეზით გასული მოსწავლეების საკითხი და შედეგი მომასხენოს.

7. სკოლების (ამხ. რ. კანდელაკმა) და საგემო-საფინანსო (ამხ. ა. კვაჭაძემ) სამმართველოებმა საჭირო კონტროლი განახორ-

ციელონ ამ ბრძანების შესრულებაზე.



ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
როს კოლეგიის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1974 წლის 5 თებერვლის ბრძანება № 78


ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ადიგენის ასპინძისა და ხაშურის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ადიგენის, ასპინძისა და ხაშურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებების ამხ. ამხ. ბ. ახვლედიანის, კ. კარახანიანის, ხ. თუმასიანის, ბ. მიქელაძის, მ. ყაველაშვილის, გ. ქვრივიშვილის, ზ. თაბაგარის, ი. გვიდაროვის, დ. ბეჭატურის, პ. მერაბიშვილის, ს. მამუკაშვილისა და შ. ლაბაძის ანგარიშების მოსმენამ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ ცხადყო, რომ დასახელებულ რაიონებს ამ საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. წინა წლებში განთესილთაგან დაბრუნებულ იქნენ: ადიგენის რაიონში მხოლოდ 4 მოსწავლე, თეთრი წყაროს — 5, ხაშურის — 6, გარდაბნის — 92, დმანისის — 17, ახალციხის რაიონში 7 ბავშვი.

1973-1974 სასწავლო წლის მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა შესრულებული აქვს ახალქალაქის რაიონს მხოლოდ 95,86%-ით, ბოლნისის — 99,5%, თეთრი წყაროს რაიონს — 98-1%, ხაშურის — 95,44%-ით.

უფრო მძიმე მდგომარეობაა მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების საქმეში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხაზით. საღამოს სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის გეგმა შესრუ-

ლებული აქვს ასპინძის რაიონს მხოლოდ 79,1%-ით, ახალქალაქის — 65%, ახალციხის — 52,2%, გარდაბნის — 93,8%, დმანისის რაიონს — 60,9%-ით.



დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს ახალქალაქის რაიონის სკოლების 0-VIII კლასებიდან გავიდა 303 ბავშვი, მათ შორის, გადავიდა საღამოს სკოლებში — 111, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 98, განითესა — 25; ადიგენის რაიონის სკოლებიდან — 67, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 11, ავადმყოფობით — 5; ასპინძის რაიონის სკოლებიდან — 36, მათ შორის, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 12; ახალციხის რაიონის სკოლებიდან — 254, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 26, განითესა — 8; ბოგდანოვკის რაიონის სკოლებიდან — 71, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 13. ავადმყოფობით — 17; ბოლნისის რაიონის სკოლებიდან — 420, მათ შორის, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 87, გარდაბნის რაიონის სკოლებიდან — 899, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 129, ავადმყოფობით — 32, სამუშაოზე მოწყობის გამო — 20, გათხოვების გამო — 3, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 221; დმანისის რაიონის სკოლებიდან — 222, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 29, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 81, განითესა — 18, თეთრი წყაროს რაიონის სკოლებიდან — 193, მათ შორის, საღამოს სკოლებში — 11, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 45, გათხოვდა — 5, განითესა — 5; ხაშურის რაიონის სკოლებიდან — 217, მათ შორის, ავადმყოფობით — 11, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 65; წალკის რაიონის სკოლებიდან — 159, მათ შორის საღამოს სკოლებში — 23, ავადმყოფობით — 25; მარნეულის რაიონის სკოლებიდან — 593, მათ შორის საღამოს სკოლებში — 125, ავადმყოფობით — 41, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 125.

საღამოს სკოლებიდან გასულია ასპინძის რაიონიდან 28 მოსწავლე, ახალქალაქის რაიონის სკოლებიდან — 82, ახალციხის რაიონის სკოლებიდან — 304, ბოგდანოვკის რაიონის სკოლებიდან — 103, გარდაბნის რაიონის სკოლებიდან — 363, დმანისის რაიონის სკოლებიდან — 104, თეთრი წყაროს რაიონის სკოლებიდან — 4, ხაშურის რაიონის სკოლებიდან — 89, წალკის რაიონის სკოლებიდან — 37.

IV-VIII კლასების მოსწავლეები სამუშაოზე მოეწყვენ და არ სწავლობენ გარდაბნის რაიონის კალინინის საშუალო სკოლიდან

(დირექტორი ტ. შამედოვი) — 9, ქესალოს საშუალო სკოლიდან — 6, ყარაჯალის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ფ. აბასოლი) — 3, წავკისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. თავზარაშვილი) — I-III კლასებიდან პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებში გადასულად უჩვენეს 3 ბავშვი, თეთრი წყაროს სამშვილდის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ოგანეზიანი) — 10, დიდი დმანისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. მენტეშაშვილი) — 3, გომარეთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. მუჯირიშვილი) — 3, ირგანჩაის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. მუსაევი) — 3, მარნეულის რაიონის ქესალოს საშუალო სკოლიდან — 4, აღამალოს საშუალო სკოლიდან — 3, მე-2 ქესალოს საშუალო სკოლიდან — 3, ასპინძის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ჰუსეინოვი), განთესილია 14, ფახრალის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ხალილოვი) — 21, მუშეფანის 8 წლიანი სკოლიდან განთესილია 7 მოსწავლე.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები ყველა ზომას არ ღებულობენ იმისათვის რომ პირველ კლასში ჩარიცხული ყველა ბავშვი ამთავრებდეს 8-წლიან სკოლას. 1966-1967 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებულთაგან მიმდინარე 1973-1974 სასწავლო წელს მე-8 კლასში ირიცხება ადიგენის რაიონში — 94,7%, ასპინძის — 95,8%, ახალქალაქის — 87,7%, ახალციხის — 91,9%, ბოგდანოვკის — 96,2%, ბოლნისის — 87,9%, გარდაბნის — 71,4%, დმანისის — 87,7%, თეთრი წყაროს — 90,7%, ხაშურის — 91,0%, წალკის რაიონში — 92,8%.

რიგ რაიონებსა და სკოლებში დაბალია აკადემიური მოსწრება: ადიგენის რაიონში მეორეწლიანთა რაოდენობა შეადგენს მოსწავლეთა კონტინენტის 2,07%, ასპინძის — 4,5%, ახალქალაქის — 2,27%, ახალციხის — 2,84%, ბოგდანოვკის — 5,08%, ბოლნისის — 2,59%, გარდაბნის — 3,4%, დმანისის — 2,7%, მარნეულის — 2,70%, თეთრი წყაროს — 3,51%, ხაშურის — 1,95%, წალკის — 3%.

აღსანიშნავია, რომ I-III კლასებში დატოვებულია ადიგენის რაიონში — 26 მოსწავლე, ასპინძის — 13, ახალქალაქის — 102, ახალციხის — 64, ბოგდანოვკის — 75, გარდაბნის — 168, დმანისის — 114, თეთრი წყაროს — 40, ხაშურის — 46, წალკის რაიონში — 13 მოსწავლე.

ასპინძის რაიონის დამალოს საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. იგითიანი) წლის პირველი ნახევრის შედეგად ვერ ასწრებს 12

მეორეწლიანი მოსწავლე. I კლასში ვერ ასწრებს 4 მოსწავლე, 5 მოსწავლე მესამე წელსაა დატოვებული იმავე კლასში, ახალციხის მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი - გ. სარქისოვი) ვერ ასწრებს 12 მეორეწლიანი მოსწავლე.

ხსენებულ რაიონებში სუსტადაა დაყენებული აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. სწორედ მეორეწლიანი მოსწავლეები ტოვებენ სწავლას. მეორეწლიან მოსწავლეთაგან 1973-1974 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ გამოცხადდა ადიგენის რაიონში — 15, ასპინძის — 17, ახალქალაქის — 103, ბოგდანოვკის — 134, გარდაბნის — 246, დმანისის — 69, მარნეულის — 282, თეთრი წყაროს — 65, ხაშურის რაიონში — 38. მეორეწლიანთა შორის სუსტი მუშაობით არის გამოწვეული, რომ მესამე წელს დატოვებულ იქნენ ასპინძის რაიონში — 16, ბოლნისის — 16, და თეთრი წყაროს რაიონში — 4 ბავშვი.

საკმაო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დისციპლინის განმტკიცების საქმეს. დიდია მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს იგი შეადგენდა ადიგენის რაიონში — 25.800, ასპინძის — 28.763; ახალქალაქის — 114.344, ახალციხის — 73.331, ბოგდანოვკის — 36000, ბოლნისის — 34.856, თეთრი წყაროს — 27.535, ხაშურის — 25.278, წალკის — 82.498, გარდაბნის — 41.182, დმანისის რაიონში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 119.175 გაკვეთილი.

იმის გამო, რომ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენისა და სამართალდარღვევათა შემთხვევებს. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში წალკის რაიონში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია სამართალდარღვევის 37 შემთხვევა, ახალციხის რაიონში — 41, ადიგენის — 14, ასპინძის — 16, მარნეულის — 51, დმანისის — 43, გარდაბნის — 47, ბოლნისის — 41, ხაშური — 33, თეთრიწყაროს — 32, ახალქალაქის — 37, ბოგდანოვკის რაიონში — 36.

სკოლები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის სათანადო სასკოლო შენობებით, დგამ-ავეჯითა და კაბინეტ-ლაბორატორიებით. მეორე ცვლაში სწავლობს ადიგენის რაიონში 893 მოსწავლე, ასპინძის — 882, ახალქალაქის — 6158, ახალციხის — 3224, ბოგდანოვ-

კის — 4542, ბოლნისის — 7240, გარდაბნის — 7813, დმანისის — 5963, თეთრი წყაროს — 1901, ხაშურის — 2240, წალკის რაიონში — 5728 მოსწავლე.

საქართველო
განათლების

არა აქვთ ათვისებული 1972 წლის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდიდან ახალციხის რაიონში 1200 მან., ბოგდანოვკის — 400 მან; ბოლნისის — 4000 მან; თეთრი წყაროს — 5000 მან., წალკის რაიონში — 8490 მანეთი.

განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ანგარიშებისა და სტატისტიკური ფორმების შევსების საქმეს. 1972-1973 სასწავლო წლის შედეგებზე წარმოდგენილ ანგარიშებში მარნეულის რაიონში არაა ნაჩვენები სად წავიდა 422 ბავშვი, ახალქალაქის რაიონში — 218, ასპინძის რაიონში — 14, ახალციხის რაიონში — 59, ბოგდანოვკის რაიონში — 90, ბოლნისის რაიონში — 274, დმანისის რაიონში — 22, თეთრი წყაროს რაიონში — 19, ხაშურის რაიონში — 4, წალკის რაიონში — 2 ბავშვი.

დასახელებულ რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. კ. მერაბიშვილმა, ს. მამუკელაშვილმა, კ. კარახანიანმა, ბ. ახვლედიანმა, ხ. თუმასიანმა, გ. ყაველაშვილმა, გ. ქვრივიშვილმა, ზ. თაბაგარმა, ი. გვიდაროვმა, დ. ბეჭაურმა, ბ. მიქელაძემ, შ. ლაბაძემ:

ა) სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან ერთად უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა არსებული დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად და მათი უკლებლივ ჩაბმა სწავლებაში ახალ, 1974-1975 .სასწავლო წლიდან;

ბ) არსებითად გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდე-ლობითი მუშაობა, მკვეთრად აამაღლონ მოსწავლეთა მომზადება მოქმედი პროგრამის ფარგლებში, საჭირო ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეების მიმართ, განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენილობას, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი, განსაკუთრებით I-VIII კლასებში;

გ) მიიღონ ზომები სასკოლო დისციპლინის განსამტკიცებლად, ბავშვთა უხეშობისა უდისციპლინობის წინააღმდეგ ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის ისეთი საშუალებანი, როგორცაა მშობელთა პედაგოგიური კულტურის უნივერსიტეტები, ლექცია-მოხსენებები, სემინარები, კინოთეატრები, რადიო და ტელეგადაცემები, პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთები;

დ) აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვის, სწავლებაში ჩაბმისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 5 სექტემბრის შემდეგ სკოლიდან სკოლაში ბავშვის გადასვლა მოახდინონ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ მშობლების საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო, ხოლო 8 კლასის დამთავრებამდე მოსწავლეთა პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებში გადაყვანა მოახდინონ მხოლოდ და მხოლოდ განათლების სამინისტროს ნებართვით;

ე) ქმედითი ზომები მიიღონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების სრულყოფილად მოწყობისათვის;

ვ) 1973-1974 სასწავლო წლის ანგარიშებს თან დაუერთონ ზუსტი სიები სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა შესახებ.

2. ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ჰუსეინოვს, ფახრალის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ხალილოვს, თეთრი წყაროს რაიონის სამშვილდის საშუალო სკოლის დირექტორს ტ. მამედოვს, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ანხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3 გარდაბნის რაიონის წავკისის საშუალო სკოლის დირექტორს მ. თავზარაშვილს, ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ზაზაძეს, მარნეულის რაიონის ყაჩაღანის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ალახვერდოვს, დიდი დმანისის საშუალო სკოლის დირექტორს თ. მენტეშაშვილს, გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მუჯირიშვილს, ირგანჩაის საშუალო სკოლის დირექტორს ი. მუსაევს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

4. საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის ახალქალაქის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს კ. კარახანიანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. მკაცრად იქნან გაფრთხილებული ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. ახვლედიანი, ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ხ. თუმასიანი.

6. აღინიშნოს მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ი. გეიდაროვის სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმისადმი.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) 1974 წლის მეორე კვარტალში საფუძვლიანად შეისწავლოს ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

ბ) 1974 წლის მეორე კვარტალში შეისწავლოს ასპინძის რაიონის დამალოსა და თეთრი წყაროს რაიონის სამშვილდის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

გ) 1974 წლის ივნისში შეამოწმოს ბოლნისის რაიონის ფახრალის საშუალო სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილთა და მეორე-წლიანთა შორის მუშაობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

დ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ა. კვაჭაძე)
ერთად მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების
მიმდინარეობაზე.



ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1973 წლის 31 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

- საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა
და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის ერთობლივი
დადგენილება

1974 წლის 7 თებერვალი

1974 წლის ზაფხულის არდადეგების დროს რესპუბლიკის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებს მოსწავლეთა საზაფხულო პრაქტიკულ სამუშაოებში მასობრივი მონაწილეობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებს მოსწავლეთა მასობრივ მონაწილეობას ზაფხულის არდადეგების დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს უკვე შექმნილი აქვთ ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, მარტო 1973 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის 1300 სკოლის 102 ათასი უფროსკლასელი მოსწავლე ნაყოფიერად შრომობდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათ მიერ მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 9 125 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დამზადდა ათეულ ათასობით ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, შესრულდა 22 მილიონ 138 ათასი მანეთის სამუშაოები.

1973 წლის გამოცდილებამ ნათლად გვიჩვენა, რომ უფროსკლასელთა შრომისა და დასვენების ბანაკების, საწარმოო ბრიგადების საქმიანობა სავსებით პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, მოსწავლე ახალგაზრდობას წარმატებით შეუძლია იშრომოს სასკოლო შენობების შეკეთებაზე, სპორტული მოედნების, სახელოსნოების,

კაბინეტების მოწყობაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში, მომსახურეობის სფეროში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე.



1974 წლის ზაფხულის არდადეგების დროს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა „მეხუთე შრომითი მეოთხედის“ ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარების მიზნით, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, 1974 წლის ზაფხულის არდადეგების დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, განისაზღვროს 105 ათასი მოსწავლის ოდენობით.

2. საოლქო, საქალაქო, რაიონული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომკავშირის კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის ზაფხულის არდადეგების დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მასობრივი მონაწილეობის მიღებისათვის, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი, ადგილობრივი პრესა და რადიო; მოეწყოს შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, გამოცდილ სტუდენტ-მშენებლებთან, ძველ ყამირელებთან და სხვა.

ზაფხულის არდადეგების დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ორგანიზებული წესით ჩააბან უფროსი, VII-IX კლასების მოსწავლეები.

ა/წლის მარტში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეიქმნას მოსამზადებელი შტატები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ და გადაწყვეტენ უფროსკლასელთა შრომისა და დასვენების ბანაკების საწარმოო ბრიგადების შექმნას, მათი მუშაობის საყოფაცხოვრებო და კულტურულ-მასობრივი მომსახურების საკითხებს როგორც მოსამზადებელ პერიოდში, ასავე ზაფხულის არდადეგების დროს;

მოსწავლეთა საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების შინაარსი განსაზღვრონ მათი ასაკის, სქესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

რობის მიხედვით, სკოლების, საშეფო დაწესებულებების, ადგი-
ლობრივი საწარმოების ორგანიზაციების, კოლმეურნობებისა და
საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნების შესაბამისად; 2020000000

ა. წ. 15 მარტამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შტაბებ-
მა გამოყონ პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები, რომ-
ლებიც ვააფორმებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს ზემოთ აღნიშ-
ნულ ორგანიზაციებთან.

გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, ოლ-
ქებში, ქალაქებში, რაიონებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკო-
ლებში შექმნილმა მოსამზადებელმა შტაბებმა ა. წ. 25 მარტამდე
განსაზღვრონ ადგილებზე საზაფხულო სამუშაოებში მონაწილე
სკოლებისა და უფროსკლასელების შრომისა და დასვენების ბანა-
კების, საწარმოო ბრიგადების ზუსტი რაოდენობა.

ა. წ. 25 მარტამდე შეარჩიონ და დაამტკიცონ საწარმოო ბრი-
გადების, სასკოლო რაზმების, შრომისა და დასვენების ბანაკების
ხელმძღვანელები კომუნისტ პედაგოგ-აღმზრდელებისა და კომკავ-
შირული მუშაკების რიგებიდან, რომელთაც აქვთ მოსწავლეებთან
მუშაობის გამოცდილება და უნარი, უზრუნველყონ მათი მივლინება
რესპუბლიკურ სემინარზე ა. წ. აპრილში, ქ. თბილისში.

ფართოდ გაშალონ მოსწავლეთა შრომით კოლექტივებსა და
თვით კოლექტივებს შიგნით სოციალისტური შეჯიბრება, ნათლად
განსაზღვრონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები, მისი ჩატარე-
ბის ფორმები, შედეგების დაჯამების ვადები. გაშლილმა სოცია-
ლისტურმა შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს საუკეთესო სკოლა,
შრომისა და დასვენების ბანაკი, საწარმოო ბრიგადა, რგოლი, მოს-
წავლეთა შრომითი კოლექტივების მიმღები ორგანიზაცია, შრომაში
მოწინავე მოსწავლეები, საუკეთესო თავის პროფესიაში, მოსწავლე-
თა შრომითი აღზრდის პროგრესული ფორმები და მეთოდები;

სოციალისტური შეჯიბრების დევიზი უნდა გახდეს: „ღირსე-
ულად შევხედეთ საკავშირო კომკავშირულ ორგანიზაციისთვის
ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს“, ჩემი შრომითი
წვლილი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს“.

ფართოდ იქნეს გამოყენებული შრომაში წარჩინებულ მოს-
წავლეთა კოლექტივებისა და მათი წევრების წახალისება სიგელე-
ბით, საჩუქრებით და სხვა ჯილდოებით.

5. რაზმებში ჩარიცხულ თითოეულ უფროსკლასელს გააცნონ საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის, უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები, რისთვისაც გამოყოფილ იქნან სპეციალისტური მეცადინეობის ჩასატარებლად.

6. გათვალისწინებულ იქნეს, რომ 15-16 წლის მოსწავლეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს, ხოლო 17-18 წლისა — 6 საათს, ამასთან, ზაფხულის პერიოდში სამუშაო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4-6 კვირას და ისიც მხოლოდ დღის საათებში.

არ დაუშვან მოსწავლეთა შრომითი რაზმის არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება. საზაფხულო სამუშაოების ძირითად მიმართულებად მიჩნეულ იქნეს შრომისა და დასვენების ბანაკების საწარმოო ბრიგადების შექმნა, რომელშიც გაერთიანდებიან ერთი ქალაქის, რაიონის, სოფლის მოსწავლეები.

7. რაზმებში ჩარიცხულ თითოეულ წევრსა და პედაგოგ-აღმზრდელს ჩაუტარონ სამედიცინო შემოწმება და პროფილაქტიკური აცრები ა/წლის მაისის ბოლომდე, შეადგინონ მათზე სამედიცინო ცნობები;

პედაგოგ-აღმზრდელთა შრომისა და დასვენების ბანაკების ხელმძღვანელთა რაოდენობა, მათი ხელფასის ფონდი და დაფარვის წყარო უნდა ნაჩვენები იქნეს ხელშეკრულებებში.

8. უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის პერიოდში სამუშაოდან თავისუფალი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა შინაარსიანი დასვენებისათვის, რისთვისაც ფართოდ გაშალონ იდეურ-პოლიტიკური, კულტურულ-მასობრივი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფესიულ ორიენტაციაზე.

ყოველდღიური კონტროლი დააწესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი რაზმების საქმიანობაზე.

9. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შტაბებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების რესპუბლიკურ შტაბთან. ზაფხულის პრაქტიკული სამუშაოების დამთავრების შემდეგ, 1 სექტემბრამდე წარმოადგინონ ზემოაღნიშნულ შტაბში და საქარ-

თველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

(ცნობების ფორმები თან ერთვის დადგენილებას).

10. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირის კომიტეტებმა შეფომა აიღონ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფორმირებულ მოსწავლეთა რაზმებზე, გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება როგორც მოსამზადებელ, ისე სამუშაო პერიოდში, მოაწყონ მოსწავლე ახალგაზრდობისა და გამოცდილი სტუდენტ-მშენებლების შეხვედრები, შეიმუშაონ საშეფო მუშაობის კონკრეტული გეგმები.

11. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების რესპუბლიკურმა შტაბმა:

ა) უზრუნველყოს 1974 წლის ზაფხულის არდადეგებისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მასიური და ორგანიზებული მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომკავშირის კომიტეტებსა და შტაბებს უფროსკლასელ მოსწავლეთა საზაფხულო შრომითი საქმიანობის ორგანიზაციაში, იზრუნოს მოსწავლეთა რაზმებისათვის სამუშაო ფრონტის განსაზღვრისათვის;

ბ) ა. წ. აპრილში მოამზადოს და ჩაატაროს რესპუბლიკური სემინარი უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი რაზმების ხელმძღვანელებისათვის; სემინარის მსმენელები უზრუნველყოს აუცილებელი მეთოდური და სხვა სპეციალური მასალებით.

12. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის სანეპიდსადგურს, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის სამედიცინო სამსახურთან ერთად, კონტროლი და დახმარება გაუწიონ ზაფხულის არდადეგების დროს შრომისა და დასვენების ბანაკებს და საწარმოო ბრიგადებს საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეში.

13. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური გამგეობას ზაფხულის არდადეგების დროს უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ბანაკების

საწარმოო ბრიგადებისა და შრომითი კოლექტივების კვების პრო-
დუქტებით დროული და შეუფერხებელი მომარაგება.

14. ეთხოვს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს, მონაწილეობა მიიღოს უფროსკლასელ მოსწავ-
ლეთა შრომისა და დასვენების ბანაკების ორგანიზაციისა და წი-
ლობრივად დაფინანსების საკითხებში.

15. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე
დაევალოს საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მოსწავ-
ლე-ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილებას, სტუდენტთა
სამშენებლო რაზმებისა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი
ბრიგადების რესპუბლიკურ შტაბს და საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს.

საქართველოს ალკც ცენტრალური
კომიტეტის მდივანი შ. შარტაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ფორმა № 1

წარმოდგენილ იქნეს საქართველოს
ალექსანდრე მესტიის სახელობის
სტუდენტთა სამშენებლო რაზ-
მების რესპუბლიკურ შტაბში და საქა-
მების რესპუბლიკურ შტაბში და საქარ-
თველოს ასრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოში 1974 წლის
1 აპრილამდე.

ც ნ ო ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავ-
ლეთა რაზმების მზადების შესახებ 1974 წლის ზაფხულის არდადე-
გების დროს მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში

1. სკოლათა რაოდენობა, სადაც ყალიბდება
უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი რაზმები: _____
2. შრომითი კოლექტივების რაოდენობა _____
 შრომისა და დასვენების ბანაკი _____
 მასში მონაწილეობას მიიღებს _____
 სარემონტო-სამშენებლო რაზმი _____
 მასში მონაწილეობას მიიღებს _____
 უფროსკლასელთა შრომითი რაზმი _____
 მასში მონაწილეობას მიიღებს _____
 სხვა სახის შრომითი გაერთიანება _____
 მასში მონაწილეობას მიიღებს _____
3. შრომით კოლექტივებში გაერთიანებულ
მოსწავლეთა საერთო რაოდენობა _____
4. შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა _____

ოლქის, ქალაქის, რაიონის, კომკავშირის
კომიტეტის მდივანი
განათლების მინისტრი ოლქის ასსრ
ქალაქის, რაიონის განათლების
განყოფილების გამგე
ოლქის, სოფლის მეურნეობის მინისტრი
რაიონის სოფლის მეურნეობის
სამმართველოს უფროსი



წარმოდგენილ იქნეს საქართველოს
ალკეც სტუდენტთა სამშენებლო რაზ-
მების რესპუბლიკურ შტაბში და საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოში 1974 წლის
1 აპრილს და 1 სექტემბერს.

ხ ა რ ი ს ს ო ბ რ ი ვ ი ა ნ ა ლ ი ზ ი

სამუშაოთა მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა (საოლქო, საქალაქო, რაიონული)

რაზმის წევრთა საერთო რაოდენობა _____

სასოფლო-სამეურნეო _____

ჩაის კრეფა _____

მშენებლობა _____

სხვა სამუშაოები _____

2) შემადგენლობა კლასების მიხედვით

7 კლასი _____

8 კლასი _____

9 კლასი _____

10 კლასი _____

3. საერთო რაოდენობიდან

გოგონები _____

ბიჭები _____

2. ალკეც წევრები

ოლქის, ქალაქის, რაიონის, კომკავშირის
კომიტეტის მდივანი

განათლების მინისტრი ახსრ ოლქის
ქალაქის, რაიონის, განათლების

განყოფილების გამგე

ოლქის, სოფლის მეურნეობის მინისტრი

რაიონის სოფლის მეურნეობის

სამმართველოს უფროსი

ხ ა რ მ ს ს ო ბ რ ი ვ ი ა ნ ა ლ ი ზ ი

საოლქო, საქალაქო, სასკოლო უფროსკლასეულ მოსწავლეთა შრომითი კლასების ხელმძღვანელებისა.

- | | |
|-----------------------|------------------------|
| 1. საერთო რაოდენობა | ა) სკკპ წევრები და |
| 2. ასაკი | კანდიდატები |
| ა) 16-18 წლამდე | 5. შრომითი საქმიანობა |
| ბ) 18-28 წლამდე | ბ) ალკკ წევრები |
| ა) ვ) 28 წელზე უფროსი | ა) განათლების მუშაკი |
| 3. განათლება | ბ) სტუდენტი |
| ა) საშუალო | გ) მოსწავლე |
| ბ) საშუალო სპეციალური | 4. საშეფო ორგანიზაციის |
| გ) დ) უმაღლესი | წარმომადგენელი |
| დ) უმაღლესი | |
| 4. პარტიულობა | |

ოლქის, ქალაქის, რაიონის კომკავშირის
კომიტეტის მდივანი

განათლების მინისტრი ახსრ, ოლქის

ქალაქის, რაიონის, განათლების
განყოფილების გამგე



ფორმა № 4

წარმოდგენილ იქნეს საქართველოს
ალკაც სტუდენტთა სამშენებლო რაზ-
მების რესპუბლიკურ შტაბში და საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოში 1974 წლის
1 სექტემბრამდე

ც ნ მ ბ ა

უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი რაზმების
საწარმოო მაჩვენებლებზე

1. რაზმების რაოდენობა

მათ შორის:

1. სასოფლო-სამეურნეო
სამუშაოებზე

2. ჩაის კრეფაზე

3. მშენებლობაზე

4. სხვა სამუშაოებზე

2. ხაშუშაო დღის ხანგრძლივობა

3. შესრულებულ სამუშაოთა

მოცულობა

მათ შორის:

1. სასოფლო-სამეურნეო

სამუშაოები

2. ჩაის კრეფა

3. მშენებლობა

4. სხვა სამუშაოები

5. გამომუშადება რაზმის თი-

თოეულ წევრზე.

ოლქის, ქალაქის, რაიონის, სკოლის
კომკავშირის კომიტეტის მდივანი
განათლებლას მინისტრი ასსრ, ოლქის
ქალაქის, რაიონის განათლების
განყოფილების გამგე

სოფლის მეურნეობის მინისტრი ასსრ, ოლქის
რაიონის, სოფლის მეურნეობის
სამმართველოს უფროსი

1974 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობებზე და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექნიკუმების მოსწავლეთა, ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლების უფროსკლასელები და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობისათვის საორგანიზაციო კომისიის დამტკიცების შესახებ

ანიჭებს რა დიდ აღმზრდელობით და პოლიტიკურ მნიშვნელობას ზაფხულის არდადეგების პერიოდში მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექნიკუმების მოსწავლეთა და ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლების უფროსკლასელები მოსწავლეთა მასობრივ მონაწილეობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წ. 6 თებერვლის დადგენილებას „ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელები მასობრივი მონაწილეობის შესახებ“ შესრულებისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1974 წ. ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობებზე და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, სამშენებლო რაზმების, ტექნიკუმების, ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლების უფროსკლასელები და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობა (სია თან ერთვის).

1974 წ. ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო, საწარმოო და საყოფაცხოვრებო და-

ნიშნულების ობიექტების მშენებლობებზე და სასოფლო-სამეურ-
ნეო სამუშაოებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექ-
ნიკუმების მოსწავლეთა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფ-
როსკლასელ და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის
მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობის საორგანიზაციო კომისია:

1. ბარციცი პ. ხ. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (თავ-რე)
2. ფაჩუაშვილი მ. ნ. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავ-რის მოადგილე)
3. ობოლაძე უ. პ. — საქ. სსრ განათლების მინისტრის მოად-
გილე (თავ-რის მოადგილე)
4. ფორაქიშვილი ზ. ი. — საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე (თავ-რის მოად-
გილე)
5. მიქიაშვილი კ. ტ. — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომი-
ტეტის თავ-რის მოადგილე (თავ-რის მოადგილე)
6. ფალავანდიშვილი ბ. დ. — საქ. სსრ სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილე (თავ-რის მოადგილე)
7. ფანცხავა რ. დ. — საქ. სსრ საბჭოთა მეურნეობების სამი-
ნისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტ. საბჭ. მეურნეობის ტრეს-
ტის დირექტორი.
8. ჯაფარიძე რ. ა. — საქ. სსრ პროფსაბჭოს მდივანი (თავ-რის
მოადგ.)
9. გოჩალეიშვილი მ. ა. — საქ. ალკც თბილისის კომიტეტის
მეორე მდივანი
10. სიამაშვილი ო. ბ. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის თავ-
დაცვითი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.
11. ასათიანი ვ. — საქართველოს ალკც ცკ სტუდენტი
ახალგაზრდობის განყოფილების გამგე.
12. ღარიბაშვილი რ. შ. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის
პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფ. გამგე.
13. გოლიაძე გ. ა. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის საქ-
მეთა მმართველი
14. კალანდაძე რ. ნ. — საქ. ალკც ცენტრალური კომიტეტის
სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მე-
თაური

15. სანებლიძე ა. რ. — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“
დაქტორი
16. ლორთქიფანიძე ო. ე. — გაზეთ „მოდერნიზაციის გრუზიის“
დაქტორი
17. სუხიაშვილი ჯ. ა. — საქართველოს ალკკ ცკ პროფესიულ-
ტექნიკური განათლების სექტორის გამგე
18. ნაცვლიშვილი თ. შ. — ტელევიზიის ახალგაზრდობის გა-
დაცემათა მთ. რედაქტორი
19. ნინუა ჯ. ა. — რადიოს ახალგაზრდული გადაცემებით მთ.
რედაქტორი
20. ლორთქიფანიძე ვ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ალკკ კომიტეტის მდივანი
21. ცუგბა ვ. შ. — საქ. კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კო-
მიტეტის I მდივანი
22. ნაკაშიძე ჯ. შ. — საქ. კომკავშირის აჭარის საოლქო კო-
მიტეტის I მდივანი
23. მხეიძე რ. შ. — საქ. კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კო-
მიტეტის I მდივანი
24. ჭახრაკია ლ. ნ. — საქ. სტუდენტთა სამშენებლო რაზმები-
სა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების რეს-
პუბლიკური შტაბის სექტორის გამგე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 5 თებერვლის ბრძანება № 74

ქ. თბილისის საშუალო სკოლებში სწავლების კაბინეტურ
სისტემაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასული სკოლების მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ სასწავლო კაბინეტის პირობებში უფრო სრულყოფილად ხდება სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, მაღლდება სწავლების მეცნიერული დონე და მოსწავლეთა მიერ საბროგრამო მასალის ათვისების ხარისხი; უფრო უკეთ ეწყობა სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა, უმჯობესდება კლასგარეშე მუშაობა.

1973-1974 სასწავლო წლისათვის ქ. თბილისის 152 სკოლიდან სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია 34 საშუალო სკოლა. კაბინეტურ სისტემაზე გადასული სკოლებიდან ნაყოფიერად მუშაობენ: 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე), 136-ე (დირექტორი ლ. ჩიქვანია), 88-ე (დირექტორი ი. გიორგაძე), 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე), 51-ე (დირექტორი ქ. ჩიჩუა), მე-2 გახანგრძლივებული (დირექტორი ლ. მაგლობლიშვილი), 67-ე (დირექტორი გ. ჩიხლაძე), 32-ე (დირექტორი ე. ნემსიწვერიძე) და სხვ.

77-ე საშუალო სკოლაში კეთილმოწყობილია ყველა სასწავლო კაბინეტი, უზრუნველყოფილია სასწავლო თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით, პედაგოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. კარგად არის მოვლილი სასკოლო ინვენტარი, სანიმუშოა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ამ სკოლაში ყველა გაკვეთილი თვალსაჩინოების მაქსიმალური გამოყენებით ტარდება. კარგია მოსწავლეთა დისციპლინა. შესვენების დროს არ იგრძნობა ხმაური და სირბილი კაბინეტიდან კაბინეტში. სკოლის დირექტორის მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით წარმართავენ კლასის ხელმძღვანელები საად-

მზრდელი მუშაობას მათზე გაპროგნებულ კლასებში. კაბინეტის გამგეები, სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით, ყოველდღიურად ზრუნავენ სასწავლო კაბინეტების ახალ-ახალი თვალსაჩინოებით შევსებისათვის.

88-ე საშუალო სკოლა კაბინეტურ სისტემაზე გადასულია 1961-62 სასწავლო წლიდან. სკოლაში შექმნილია 16 სასწავლო კაბინეტი. კაბინეტები განაწილებულია სართულებისა და კლასების მიხედვით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უხმაურო განააცვლებას ერთი კაბინეტიდან მეორეში. კაბინეტები აღჭურვილია თვალსაჩინო მოწყობილობითა და ტექნიკური საშუალებებით. კაბინეტის გამგეები ყოველწლიურად ზრუნავენ თავიანთი კაბინეტების სწავლების უახლესი საშუალებებით აღჭურვისათვის. სასკოლო ინვენტარი, ხელსაწყოები და თვალსაჩინოება სანიმუშოდ არის მოვლილი. წლების მანძილზე სკოლის შენობისა და ინვენტარის შეკეთებაზე სახელმწიფოს თანხები არ იხარჯება, სკოლაში შექმნილი მოსწავლეთა ბრიგადები ყოველი წლის ბოლოს ასრულებენ სასკოლო შენობის, თუ ავეჯის მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს.

სასწავლო კაბინეტებში გაკვეთილების ჩატარებამ აამალა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა, ისინი უკეთესად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, უკეთ იყენებენ თვალსაჩინოებას სწავლებაში და, რაც მთავარია, შექმნილია ყოველგვარი პირობა სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა მიზნობრივად გამოყენებისათვის. მკვეთრად გაუმჯობესდა კლასგარეშე აღმზრდელითი მუშაობა მოსწავლეთა შორის.

32-ე სკოლა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია მიმდინარე სასწავლო წელს. ამ სკოლაში სასწავლო კაბინეტები ძირითადად დამაკმაყოფილებლად აქვთ მოწყობილი. აღნიშვნის ღირსია მათემატიკის, ბიოლოგიის, რუსული ენის, უცხოური ენებისა და ისტორიის სასწავლო კაბინეტები. ამ კაბინეტებში, გარდა ნაბეჭდი თვალსაჩინოებისა და სადემონსტრაციო ხელსაწყოებისა, აქვთ კარგად განლაგებული და მოსახმარებლად იოლი სასწავლო ტექნიკური საშუალებები. მათემატიკის კაბინეტში დამონტაჟებულია დაპროგრამებული საკონტროლო მოწყობილობა, კოდოსკოპი და სხვა. კაბინეტის გამგეს ვალენტინა ვასილის ასულ გოდოვსკის თვით დაუმზადებია კოდოპოზიტივები, რომლებსაც წარმატებით იყენებს სწავლებაში. სკოლას აქვს ლინგვაფონური კაბინეტი, რომელსაც მოხდენილად იყენებენ სწავლებაში უცხო ენის მასწავლებლები

კ. ვ. ელაშვილი და ნ. ს. დუმბაძე. რუსული ენის კაბინეტში დამონტაჟებულია დაპროგრამებული საკონტროლო ტექნიკური საშუალება, რომელსაც რუსული ენის მასწავლებლები ე. მ. ბარსელოვი, ე. ფედოროვა ეფექტურად იყენებენ სწავლებაში. ასევე წარმოებით მუშაობენ ისტორიის მასწავლებლები ვ. მ. მელიკინი და ს. ი. ნალჩაცანოვა, ბიოლოგიის მასწავლებელი — მ. ს. გვიჩია და სხვები.

კაბინეტური სისტემით მუშაობის ერთი წლის გამოცდილება გააჩნია 51-ე საშუალო სკოლას, რასაც კარგად შეეწყო მთელი პედაგოგიური კოლექტივი, უკეთ იყენებენ სწავლებაში თვალსაჩინოებასა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს. სანიმუშო სანიტარული წესრიგია დამყარებული სკოლაში, ამაღლდა სწავლების ხარისხი და დისციპლინა. სასწავლო კაბინეტები სკოლაში მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის ცენტრი გახდა. ასევე გაუმჯობესდა კლასგარეშე, საწრეო და მოსწავლეთა შორის საადმინისტრაციული მუშაობა.

სულ ერთი წელია, რაც სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადავიდა 55-ე საშუალო სკოლა. ამ სკოლას საკმაო ფართობი გააჩნია ყველა საგანში კაბინეტების მოწყობისათვის. ავტომატური მართვით მოწყობილია მათემატიკის, ქიმიის, უცხო ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ტექნიკურ საშუალებათა, დაწყებითი სამხედრო სწავლების კაბინეტები. სულ სკოლაში 54 კაბინეტია. სკოლის დირექციამ მიიღო ზომები ყველა საგანში საჭირო რაოდენობით დიაფილმების შესაქმნელად და კაბინეტების უზრუნველსაყოფად.

136-ე რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლა ფოთქმის სამი წელია, რაც კაბინეტურ სისტემაზე გადასული. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი კლასებისა და დაწყებითი სამხედრო სწავლების კაბინეტები. კაბინეტები ძირითადად უზრუნველყოფილია თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით. დამუშავებული აქვთ თითოეული კაბინეტის მუშაობის დებულება და რეკომენდაციები, აქვთ თვით სკოლაში დამზადებული დიაფილმები. საჭიროა 136-ე ექსპერიმენტალური სკოლის მუშაობის გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო შედეგების მქონე რეკომენდაციების განზოგადება და გავრცელება.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლამ ქ. თბილისის ზემოთ დასახელებულ სკოლებში ხელი შეუწყო სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებას, მასწავლებელთა სუბსტიტუციის გავრცელებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისადმი, ამოღდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და ინტერესი სწავლისადმი, გაუმჯობესდა პირობები მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებებისა და კლასგარეშე საგნობრივი წრეების მუშაობისათვის, ნორმალური პირობები შეიქმნა მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობისათვის ცალკეული საგნების მიხედვით, რის შედეგადაც შემცირდა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ყველა სასკოლო ღონისძიებათა ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარებისათვის. ერთგვარად გაუმჯობესდა შენობების სანიტარული მდგომარეობა, ამოღდა მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა სასკოლო მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობისათვის.

კაბინეტურ სისტემაზე გადასვლამ შესაძლებელი გახდა ცვლიანბ მეცადინეობის შემცირება.

კაბინეტის გამგე-მასწავლებლები დაინტერესებულნი არიან მათზე გაპიროვნებული კაბინეტების კეთილმოწყობით, თვითნაკეთი თვალსაჩინოებების შევსებით, რისთვისაც წარმატებით იყენებენ სკოლის სახელოსნოებს, მოსწავლეებს, მოსწავლეთა მშობლებსა და საშეფო ორგანიზაციებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ერთგვარი წარმატებებისა, კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის საქმეში ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებებს, სკოლების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებანი. თბილისის 152 საშუალო სკოლიდან კაბინეტურ სისტემაზე გადასულია მხოლოდ 34 სკოლა.

ლენინის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე აშ. თ. ტატიშვილი) შედგენილი აქვს კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპობრივი გეგმა, რომლის მიხედვითაც კაბინეტურ სისტემაზე 1973-1974 სასწავლო წელს უნდა გადასულიყო სამი სკოლა, მაგრამ დღემდე არცერთი სკოლა არ არის მთლიანად გადასული კაბინეტურ სისტემაზე. 132-ე საშუალო სკოლა, რომელიც ძირითადად კაბინეტურ სისტემაზეა გადასული, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

კაბინეტურ სისტემაზე გადასული 34 სკოლიდან 23 განიციდის თვალსაჩინო მოწყობილობის დიდ ნაკლებობას. თუ სკოლას განსწავლავს ნილი აქვს მათემატიკის 5 კაბინეტი ან რუსული ენის 4 კაბინეტი. მათგან სრულყოფილად მოწყობილია ერთი ან ორი. ამის გარდა ფაქტიურად, ამ კაბინეტში გაკვეთილები თვალსაჩინოების გამოუყენებლად ტარდება; ასეთი კაბინეტი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. გარდა ოთახის მონაცვლებისა, სხვა სიახლეს მოსწავლე ვერ ხედავს და დაინტერესებაც ნელდება.

როგორც კაბინეტურ სისტემაზე გადასული, ისე სხვა სკოლები ანიციდიან თვალსაჩინო მასალების უკმარობას მათემატიკაში (IV-VI კლასები); რუსულ ენასა და ლიტერატურაში (II-VIII კლასები), ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და სხვ.

სკოლების ერთ ნაწილს აქვს ლინგუაფონური კაბინეტები, მაგრამ არ იციან მისი გამოყენების მეთოდიკა უცხოური, მშობლიური და რუსული ენის სწავლების დროს. არც რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტს და არც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს არა ჰყავს ამ საქმის სპეციალისტი, რომელიც სათანადო დახმარებას გაუწევდა სკოლებს.

ქალაქის ზოგიერთ სკოლას მიღებული აქვს დაპროგრამებული სწავლების კაბინეტები, მაგრამ ისინი სრულყოფილად არაა გამოყენებული.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი კაბინეტურ სისტემის ნაკლად თვლის მოსწავლეთა დიდ მოძრაობას კაბინეტიდან კაბინეტში გადასვლის დროს, რაც გამოწვეულია კაბინეტების არარაციონალური განაწილებით და გაკვეთილების ცხრილის არასწორად შედგენით.

სკოლების ერთ ნაწილში კლასის ხელმძღვანელები იშვიათად ხვდებიან თავიანთ აღსაზრდელებს და, ამის გარდა, დაქვეითდა მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა. ეს ხდება იქ, სადაც სკოლის დირექტორს არა აქვს შედგენილი კლასის ხელმძღვანელების მოსწავლეებთან მუშაობის მტკიცე განრიგი.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გეგმაზომიერი გადასვლის, კაბინეტების დროულად აღჭურვისა და სასწავლო პროცესში მათი რაციონალური გამოყენების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, საპედაგოგიური ინსტიტუტის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უახლოეს დროში დააზუსტონ სკოლებში ახალი სასწავლო კაბინეტების შექმნისა და არსებულის თვალსაჩინოების ხელსაწყობით შევსების მდგომარეობა და შეადგინონ 1974-1980 წლებში სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპობრივი გეგმა, რომელშიც გაითვალისწინონ, რომელი სკოლა როდიდან შეძლებს კაბინეტურ სისტემაზე გადასვლას;

ბ) სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისათვის დროულად მოამზადონ როგორც სკოლების მატერიალური საფუძვლები. ისე პედაგოგიური კადრები. ფართოდ ჩააბან ამ საქმეში სკოლის მშობელთა კომიტეტი, საშეფო ორგანიზაცია და მოსწავლეთა აქტივი;

გ) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სკოლებს შორის სასწავლო კაბინეტების აღჭურვისა და სწავლებაში მათი გონივრულად გამოყენების საქმეში;

დ) რაციონალურად გაანაწილონ როგორც საბიუჯეტო, ისე საშეფო დახმარების სახსრები სასწავლო და თვალსაჩინო მოწყობილობათა, ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად, აგრეთვე დროულად უზრუნველყონ მათი მიზნობრივი ათვისება;

ე) რაიონული და საქალაქო მეთოდკაბინეტების სექციების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ და სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ფართოდ გააცნონ სასწავლო კაბინეტების მოწყობის, აღჭურვისა და გამოყენების საკითხები;

ვ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში სასწავლო კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მდგომარეობა, საკითხი განიხილონ სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასაბან და განახორციელონ ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ზ) დროულად გამოგზავნონ განაცხადები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოში საჭირო მოწყობილობებით სკოლების გეგმაზომიერი აღჭურვისათვის.

2. რესპუბლიკის საშუალო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:



ა) საფუძვლიანად შეისწავლონ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლის გადასვლის შესაძლებლობა. 1974 წლის 15 მარტამდე შეადგინონ კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპობრივი მაჩვენებლები, სადაც გაითვალისწინონ: პირველ ეტაპზე რომელ საგანში და რამდენი კაბინეტი უნდა შეიქმნას სკოლაში, რა სასწავლო მოწყობილობა და თვალსაჩინოება გააჩნიათ მოცემულ საგანში და რის გადაცემაა შესაძლებელი ამ კაბინეტისათვის; მე-2 ეტაპზე გაგრძელდეს სასწავლო კაბინეტის აღჭურვა ავეჯით, თვალსაჩინო იარაღ-მოწყობილობით და დაიწყონ სამხარეთმცოდნეო მასალების შეგროვება ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, მშობლიურ ლიტერატურაში და სხვ. კაბინეტი უნდა აღიჭურვოს სასწავლო ტექნიკური საშუალებებით და განლაგდეს რაციონალურად გამოყენებისათვის. მე-3 ეტაპზე უნდა დასრულდეს სასწავლო პროგრამის შესაბამისი კაბინეტის აღჭურვა მთლიანად, საგნის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მოწყობილობით და ინვენტარით. მეოთხე ეტაპზე გაგრძელდეს კაბინეტის დაკომპლექტება ახლად გამოშვებული და მოდერნიზებული ხელსაწყო-იარაღებით, შეადგინონ კარტოთეკები და მოახდინონ სრული ინვენტარიზაცია;

ბ) სასწავლო კაბინეტების გამოყოფისთანავე ბრძანებით დაინიშნონ კაბინეტის გამგეები, აქტივ ჩააბარონ მათ კაბინეტის ყოველგვარი ფასეულობანი და პასუხისმგებლობა დააკისრონ მის მოვლა-შენახვაზე;

გ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კაბინეტების გამგეებს შორის კაბინეტების მოწყობის, თვალსაჩინო იარაღ-მოწყობილობით აღჭურვის, ფასეულობათა მოვლა-შენახვის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისა და სასწავლო ესთეტიკის მიხედვით მოწყობის საკითხებზე; გაატარონ წამახალისებელი ღონისძიებები საუკეთესო კაბინეტის გამგეებზე და მათი საუკეთესო გამოცდილება განაზოგადონ სკოლის მუშაკთა შორის;

დ) გონივრულად განალაგონ სასწავლო კაბინეტები, მეთოდურად სწორად შეადგინონ ცხრილი და შექმნან პირობები მოსწავლეთა ნაკლები მოძრაობისა და შეგნებული დისციპლინის დამყარებისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაკვეთილის მაღალ მეცნიერულ და იდეურ დონეზე ჩატარებას, სწავლების

პროცესში თვალსაჩინოებისა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებების
მაქსიმალურად გამოყენებას;

ვ) მკვეთრად აამაღლონ აღმზრდელობითი მუშაობა ლეთა შორის. მტკიცე განრიგზე შეადგინონ კლასის ხელმძღვანელთა-
შეხვედრისათვის სააღმზრდელო კლასის მოსწავლეებთან და მათ
შშობლებთან, დროისა და ადგილის გათვალისწინებით სისტემატუ-
რად შეამოწმონ ამ განრიგის შესრულების მიმდინარეობა და მოს-
წავლეთა აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების მდგომარეობა;

ზ) დაავალდებულონ საგნის მასწავლებლები, უზრუნველყო-
ნ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ინდივიდუალური და
ჯგუფური მეცადინეობის ჩატარება;

თ) მკვეთრად გააუმჯობესონ კლასგარეშე მუშაობა მოსწავლე-
თა შორის; წრეების საბუშუაო გეგმებში გაითვალისწინონ მოსწავ-
ლეთა მიერ სხვადასხვა სათვალსაჩინო თვითნაკეთი ხელსაწყოს
დაძხადება და ამ ხელსაწყოთა გამოყენება სწავლების პროცესში;

ი) სასწავლო კაბინეტი გახადონ მასწავლებელთა მეთოდური
მუშაობის ცენტრად, სადაც განახორციელონ საგნობრივ მეთოდგა-
ერთიანებათა მაღალნაყოფიერი მუშაობა, მასწავლებელთა იდეურ-
პოლიტიკური და მეცნიერულ-პედაგოგიური კვალიფიკაციის თა-
ნამიმდევრული და სისტემატური ამაღლება;

კ) სისტემატურად, ყოველმხრივ შეისწავლონ ცალკეული სას-
წავლო კაბინეტის მუშაობა, გახადონ იგი პედაგოგიური საბჭოს
მსჯელობის საგნად, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონის-
ძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) საგვეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ), სსრ
აკვშირის განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 აგვისტოს
№ 55-0 საფუძველზე, 1975 წლამდე ყველა საშუალო სკოლაში ფა-
სიანი სასწავლო კაბინეტის რაოდენობა აიყვანოს 6 სასწავლო კა-
ბინეტამდე.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ.
გ. კბილაშვილმა) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს სკოლების
თვალსაჩინოების საშუალებებითა და ავეჯით აღჭურვისათვის; სას-
წავლო ტექნიკურ საშუალებათა გაცემა მოახდინოს მხოლოდ გა-
ნაწილების მიხედვით.

5.) სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) პერიოდულად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს
შინაგარეო
მინისტროს

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 5 თებერვლის ბრძანება № 75

საგურამოს სკოლა-ინტერნატის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატად გადაკეთების
შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელი კანდიდატების სათანადოდ მომზადების მიზნით, საგურამოს სკოლა-ინტერნატი 1974-1975 სასწავლო წლიდან გადაკეთდეს საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატად.

2. სკოლა-ინტერნატის კონტინგენტი განისაზღვროს 480 მოსწავლით, ხოლო თითოეულ კლასში — 30 მოსწავლის ოდენობით.

3. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები მთლიანად გადაყვანილ იქნენ სახელმწიფო ხარჯზე და მშობლები განთავისუფლდნენ ბავშვების შესანახი გადასახადისაგან.

4. თითოეული მოსწავლის დღიური კვების ღირებულება დაწესდეს 1 მან. და 69 კაპ. ოდენობით.

5. მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფის ხარჯები გაუთანაბრდეს სუეოროვის სამხედრო სასწავლებლის აღსაზრდელთათვის დაწესებულ ნორმებს.

6. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ):

ა) ა/წლის 10 მარტამდე ზუსტად დაიანგარიშოს და წარმომიდგინოს სკოლა-ინტერნატის საშტატო ერთეულების განრიგი;

ბ აუცილებელი ინვენტარით კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვისა და საჭირო ხელსაწყოების შეძენისათვის საჭირო იგნებანი.

საქართველოს
შემოქმედება

7. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ს. უჩანე-შვილმა):

ა) ა/წლის 25 თებერვლამდე წარმომიდგინოს წინადადებანი რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე, 1974 წელს, არსებული სკოლა-ინტერნატის შენობების კაპიტალური რემონტის ჩატარებისა და აგრეთვე სპორტული კომპლექსის, სასაროლეთის, დახურული სასროლო ტირის, სამწყობრო მოედნის, საბავშვო სტადიონის, სამხედრო-სასწავლო ტექნიკისა და მანქანების პარკის მშენებლობის შესახებ;

ბ) 1975 წლისათვის გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური კორპუსის აშენება ყველა საჭირო და აუცილებელი კაბინეტ-ლაბორატორიით, დამხმარე სათავსოთი, აგრეთვე 250 მოსწავლისათვის სამხედრო-სპორტული ბანაკისა და სტანდარტული საცურაო აუზის მშენებლობა.

8. განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა):

ა) შეიმუშაოს რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმა, დებულება და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) კადრებით სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტება უზრუნველყოს კონკურსის წესით; ამასთან, ყველა მასწავლებლის დანიშვნა შეათანხმოს პირადად ჩემთან.

9. საგურამოს სკოლა-ინტერნატის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატად გადაკეთების გამო, აღნიშნული სკოლა-ინტერნატის ყველა თანამშრომელი ა/წლის 25 ივნისიდან განთავისუფლდეს სამუშაოდან შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით, ორი კვირის გამოსასვლელი დახმარების მიცემით.

10. მცხეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. აბესაძემ) საგურამოს სკოლა-ინტერნატიდან განთავისუფლებული მუშაკები, რომლებიც მცხეთის რაიონში ცხოვრობენ, ახალი სასწავლო წლიდან მოაწყოს რაიონის სხვადასხვა სკოლებში შესაფერის სამუშაოებზე.

11. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ევაძემ) საგურამოს სკოლა-ინტერნატიდან განთავისუფლებული ის მუშაკები, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, ახალი სასწავლო წლიდან პირველ რიგში მოაწყოს შესაფერის სამუშაოებზე.

12. განათლების სამინისტროს სკოლებისა და მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებმა (ამხ. ამხ. რ. კანდელაკმა, გ. კბილაშვილმა) მოსწავლეთა ავტოსაქმის სწავლების მიზნით, საგურამოს საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატს 1974 წელს პირველ რიგში გამოუყონ ერთი სასწავლო მსუბუქი და ერთი სატვირთო მანქანა.

13. განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა):

საგურამოს სკოლა-ინტერნატის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატად გადაკეთებასთან დაკავშირებით აღნიშნული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები ა/წლის 25 ივნისამდე გადაიყვანოს რესპუბლიკის სხვა სკოლა-ინტერნატებში.

ს ა ფ უ ძ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლებას სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 31 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

„ეამტკიცებ“

საქართველოს სსრ განათლების მინისტრა

თ. ლაშქარაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის
სახელობის საგურამოს რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო
სკოლა-ინტერნატში 1974-1975 სასწავლო წელს მოსწავლეთა
მიღების პირობები

სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფს ყოველმხრივ განვითარებული მოსწავლე ახალგაზრდების აღზრდას, იძლევა ფართო და საფუძვლიან ცოდნას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად.

სკოლა-ინტერნატში სწავლების ვადა სამი წელია, აქვს VIII-IX-X კლასები.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ზოგანდაგანმანათლებლო სკოლის 13-14 წლის ასაკის ვაჟები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს შვიდი კლასი, გადაყვანილი არიან მერვე კლასში და ჯანმრთელობის მდგომარეობით ვარგისნი არიან, სწავლა განაგრძონ სამხედრო სასწავლებელში.*

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხული მოსწავლეები იმყოფებიან მთლიანად სახელმწიფო ხარჯზე, უზრუნველყოფილნი არიან ბინით, კვებით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით იმ ნორმების შესაბამისად, რაც დაწესებულია სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების მოსწავლეთათვის. მშობლები თავისუფალნი არიან ბავშვების შესანახი გადასახადისაგან.

სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები, საშუალო განათლების ატესტატთან ერთად, იღებენ მოწმობას სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში მიღებული სპეციალობის მიხედვით, სწავლას განაგრძობენ სამხედრო აკადემიებსა და უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში არჩეული სპეციალობით.

სკოლა-ინტერნატში შემსვლელთა კონტინგენტს არჩევენ ზო-

განსაგანმანათლებლო ჯეაწლიანი, საშუალო სკოლები და სკოლა-ინტერნატები.

განცხადება სკოლა-ინტერნატში მიღების შესახებ შეტანა უნდა იქნეს ადგილობრივ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში 1974 წლის 1-ლი აპრილიდან 5 ივნისამდე, შემდეგი საბუთების დართვით:

ა) თვით მოსწავლის განცხადება, რომ მას სურვილი აქვს ისწავლოს ამ სკოლა-ინტერნატში და რომ მისი დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს სამხედრო სასწავლებელში, განცხადებას თან უნდა დაერთოს მშობლების წერილობითი თანხმობა;

ბ) განათლების მოწმობა მეშვიდე კლასიდან მერვეში გადაყვანის შესახებ, აკადემიური წარმატებების ჩვენებით;

გ) დაბადების მოწმობა (დედანი);

დ) ავტობიოგრაფია;

ე) ცნობა ოჯახური მდგომარეობის (მშობლების შრომითი საქმიანობის) შესახებ;

ვ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

ზ) დახასიათება სკოლის დირექტორისა და კლასის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

თ) სამი ფოტოსურათი (ზომით 4×4);

ი) ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის საექიმო კომისიის დასკვნა, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობით ვარგისია სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად.

სკოლა-ინტერნატში შემსვლელი მოსწავლეები, პირველ რიგში, ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებში გაივლიან სამხედრო-საექიმო კომისიებს; რის შემდეგაც მოამზადებენ საჭირო საბუთებს.

სკოლა-ინტერნატი საბუთებს მოსწავლეთა მიღების შესახებ უშუალოდ არ იღებს.

სახალხო განათლების განყოფილებების მიერ შერჩეული კანდიდატები ქ. თბილისში ხელმეორედ გაივლიან საექიმო კომისიას. რას შემდეგაც 1-დან 15 აგვისტომდე აბარებენ შესასვლელ გამოცდებს რუსულ ენასა და მათემატიკაში (წერა-ზეპირი) სკოლაში გავლილი საპროგრამო მასალის ფარგლებში.

სწავლა დაიწყება 1974 წლის 1 სექტემბერს.

დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი ალ. ორახელაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1974 წლის 11 თებერვლის ბრძანება № 93

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის
სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა
შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, ტექნიკის უჩვეულოდ სწრაფი ტემპით განვითარებამ მათემატიკური მეცნიერება უაღრესად სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა, რამაც განაპირობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკური დისციპლინების სწავლების შედგომი გაუმჯობესების აუცილებლობა.

ახლებურად გარდაიქმნა მათემატიკის სასწავლო პროგრამები, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული სკოლების I-VI, რუსული სკოლების I-VII კლასები უკვე მუშაობენ მათემატიკის ახალი სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, 1975-1976 სასწავლო წელს მთლიანად დამთავრდება მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლებაზე გადასვლა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებისა და განსაკუთრებით მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლების განუხრელი განხორციელების მიზნით, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი არის გატარებული, რის შედეგადაც ბევრ სკოლაში ძირითადად დამაკმაყოფილებელია მატერიალური ბაზა, ხორციელდება მათემატიკის კაბინეტების შექმნისა და მათი საჭირო ტექნიკური აღჭურვილობითა და თვალსაჩინო ხელსაწყობებით უზრუნველყოფა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-V კლასებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლება ძირითადად სწორად მიმდინარეობს და

სათანადო დადებითი შედეგებიც მოგვცა, რაც ფიქსირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 14 იანვრისა და 1973 წლის 4 იანვრის დადგენილებებში.

სკოლების I-VI კლასების მოსწავლეთა უმრავლესობა უზრუნველყოფილია მათემატიკის ახალი სახელმძღვანელოებით. IV-V კლასების მოსწავლეებზე ძირითადად დაკმაყოფილებულია მათემატიკის ახალი დამხმარე მეთოდური ლიტერატურით და დიდაქტიკური მასალებით. ქართული სკოლების VI კლასების მათემატიკის მოსწავლეებელთათვის ითარგმნა და უკვე დაიბეჭდა მათემატიკის დამხმარე სახელმძღვანელოები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან საკავშირო ოლიმპიადაზე 1973 წელს 10 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ცხრამ ჯილდო დამისახურა.

თბილისის მე-6, მე-8, 39-ე, 58-ე, 76-ე, 157-ე, მე-60, 134-ე, 84-ე, 88-ე, მახარაძის, ხობის, ჭიათურის, სიღნაღის, ქარელის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ლენტეხის, ხაშურის, მარნეულის რაიონების ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მათემატიკის მოსწავლეების მდგომარეობის შემოწმებამ გამოავლინა, რომ მთელ რიგ სკოლებს აქვს მათემატიკის კაბინეტები, რომლებიც ძირითადად აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით და სხვა მოწყობილობით.

სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მათემატიკის მოსწავლეებით. სისტემატურად ეწყობა მოსწავლეებელთა გადამზადება ახალი პროგრამების საფუძველზე.

მათემატიკის ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობამ მოსწავლეების მეთოდების ძირფესვიანად გარდაქმნა გამოიწვია, ახალი მეთოდების მომარჯვებისა და სწორად გამოყენების გარეშე. მოსწავლეებელი ვერავითარ შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწევს, ამდენად, მოსწავლეებელთა გადამზადების პარალელურად, უპირესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებში მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

მახარაძის II საშუალო სკოლაში მათემატიკის მოსწავლეებელთა მეთოდგაერთიანების სამუშაო გეგმა კარგად არის შედგენილი, გეგმა ითვალისწინებს აქტუალურ თემებს. საკითხები მზადდება კარგად და სრულდება დადგენილ ვადებში. კარგად მუშაობენ აგრეთვე მეთოდგაერთიანებანი თბილისის მე-6, 39-ე და 58-ე საშუალო სკოლებში.

სკოლების შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ მათემატიკის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კარგად ფლობს საგანს. სათანადოდ წვდება მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლების იდეებსა და ამოცანებს, საფუძვლიანად იცნობს მათემატიკის ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, მოხერხებულად იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ამით აღწევს მოსწავლეთა მომზადების მაღალ დონეს. ასეთ მასწავლებლებს მიეკუთვნებიან გ. ტომარაძე (თბილისის 58-ე), ე. ბისტროვა (მე-6), ვ. ხოჭოლავა, ი. ნაჭყებია (134-ე), თ. მანჯგალაძე, ც. ფოცხვერია (მე-60), ე. პეტრიაშვილი (84-ე), ნ. ჯაყელი (მახარაძის მე-2), ც. საბაშვილი (მახარაძის რ-ს დეპარტეს), მ. მირუაშვილი, ბ. არდემანაშვილი (ქარელის პირველი), გ. კაპანაძე, ა. ჯიშკარიანი (ქ. ჭიათურის II), ე. და ვ. ქერიმოვეები (მარნეულის აზერბაიჯანული № 1), გ. ოვანესიანი (მარნეულის რაიონის შაუმიანის სომხური), ა. მეჩანიანი (მარნეულის რაიონის შაუმიანის სომხური მე-2 რეაწლიანი).

საშუალო სკოლის მათემატიკის კურსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მოსამზადებელი და I-III კლასებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, რომლის საფუძვლიანი შესწავლა განაპირობებს შემდგომ კლასებში მათემატიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ეს ამოცანა მოსამზადებელი და I-III კლასის მასწავლებლებს უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. დაწყებით კლასებში ბევრია ბეჯითი, გამოცდილი და საქმის მკოდნე მასწავლებელი, რომლებსაც მუშაობაში წარმატებები გააჩნიათ. ნაყოფიერად მუშაობენ შემოწმებული სკოლების მოსამზადებელი და დაწყებითი კლასის მასწავლებლები ე. მჭედლიშვილი, ვ. მათიაშვილი, ლ. მუსერიძე (თბილისის 134-ე), ე. მუმლაძე (მე-6) სკოლა).

დასახელებული მასწავლებლების კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა დადებითი შედეგები მოგვცა. მაგალითად მე-60 საშუალო სკოლის II კლასში (მასწავლებელი ე. მუმლაძე) 36 წერთი ნაშრომიდან შეფასება ფრიადი დაიმსახურა 15-მა, 18-მა კარგი, დამაკმაყოფილებელი 3-მა. 134-ე საშუალო სკოლის II კლასში (მასწავლებელი ე. მათიაშვილი) საკონტროლო წერა შეასრულა 38-მა მოსწავლემ, აქედან 4 და 5 შეფასება მიიღო 23-მა, 13-მა — დამაკმაყოფილებელი. ასეთივე შედეგები გამოვლინდა 134-ე საშუალო სკოლის II კლასში (მასწავლებელი ელ. მჭედლიშვილი).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის სკოლების საგ-

რძნობ ნაწილში მათემატიკის სწავლების საქმეში შეინიშნება არა-
ბითი ხასიათის ნაკლოვანებანი, დაბალია მოსწავლეთა მომზადების
დონე, ადგილი აქვს მათემატიკური დისციპლინის სწავლებისას მოსწავ-
წავლეებისადმი არაერთიან მომთხოვნელობას, რაც ძირითადად
იმითაა გამოწვეული, რომ რესპუბლიკის სკოლებში ჯერ კიდევ
არიან მასწავლებლები, რომლებმაც არ იციან საგანი და მისი სწავ-
ლების მეთოდები.

ცუდად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები: პ. დაბრუნდა-
შვილი (ქარელის რაიონის ზერძენაულის რვაწლიანი სკოლა), ქ. ხა-
რაიშვილი (სობის რაიონის საგვიჩიოს რვაწლიანი), თ. მანჯაფარა-
შვილი (სიღნაღის რაიონის მალაროს საშუალო), მ. ბიწაძე (ქ. ქია-
თურის ნიგოზეთის საშუალო), ა. ბაირამოვი, ნ. ამბარცუმიანი
(მარნეულის რაიონის ტაკალოს აზერბაიჯანული და წითელი სოფ-
ლის სომხური საშუალო სკოლები), გ. მდინარაძე, ი. რამინაშვილი
მახარაძის რაიონის შემოქმედისა და მახარაძის № 2 საშუალო სკო-
ლები) და სხვა.

პ. დაბრუნდაშვილს, რომელმაც პუშკინის სახ. თბილისის პედა-
გოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი
განყოფილება დაამთავრა 1972 წელს, მასწავლებელთა დახელოვ-
ნების ინსტიტუტის ორკვირიანი გადამზადება გაიარა, აქვს 16 წლის
სტაჟი, მაგრამ იგი ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთო-
დებს. მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, წინასწარ არ არჩევს
და არ იყვანს საკლასო და საშინაო სავარჯიშო მავალითებს, გაკვე-
თილის პროცესში იწყებს კრებულებში მათ ძებნას და კლასის წი-
ნაშე სვამს გაუგებარ კითხვებს. VII კლასის ვერც ერთმა მოსწავ-
ლემ ვერ უპასუხა — რას ეწოდება ერთწევრი, მრავალწევრი, რას
უდრის ორი რიცხვის ჯამისა და სხვაობის კვადრატი, კუბი. მოს-
წავლებმა არ იცია, რა არის იგივობა, განტოლება და რას ნიშნავს
განტოლების ამოხსნა, თვითონ მასწავლებელმა არ იცის განტოლე-
ბისდა იგივობის განსაზღვრა, მას მიაჩნია, რომ „განტოლება არის
უცნობი ასოს შემცვლელი ტოლობა“, „იგივობა არის ტოლობა,
რომელიც აკმაყოფილებს მასში შემავალ ნებისმიერ ასოს“, ერთ-
მანეთისაგან ვერ ანსხვავებს სიტყვებს — შემცველი და შემცვლელი,
ერთმანეთში ურევს ციფრებისა და რიცხვების ცნებას, ციფრებს
ასოებს ეძახის. ვერ ახერხებს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე დამ-
კვებული შეცდომების გასწორებას. თვითონ უშვებს უხეშ შეცდო-

მებს. სკოლის დირექტორს კ. შვედლიძეს და დირექტორის მოადგილეს, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნ. ნოზაძეს მოსმენილი აქვთ პ. დაბრუნდაშვილის გაკვეთილები, ანალიზში აღნიშნულია, რომ მასწავლებელი გაკვეთილისათვის მოუმზადებელია, უშვებს უხეშ შეცდომებს, მაგრამ ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით და არავითარ ზომებს არ ღებულობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სუსტად იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები ქ. ხარაიშვილმა (ზობის რაიონის საგვიჩიოს რვაწლიანი სკოლა), რომელსაც ქუთაისის პედინსტიტუტის V კურსი აქვს დამთავრებული. VI, VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან გავლილი საპროგრამო მასალა გეომეტრიაში. მასწავლებელი თეორიული მსალის ახსნას არ უუკავშირებს შესაბამის პრაქტიკულ სავარჯიშოებს. სწავლებისას არ იყენებს თვალსაჩინოებას და სხვ.

მარნეულის რაიონის ტაკალის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ა. ბაირამოვი გაკვეთილზე მხოლოდ ორ-სამ მოსწავლესთან მუშაობით კმაყოფილდება, დანარჩენებში უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული, ამიტომ არის, რომ მოსწავლეები სისტემატურად არ ასრულებენ საშინაო დავალებას, სუსტად იციან გავლილი მასალა.

მახარაძის II საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ი. რამინაშვილი არ იცნობს V კლასის სახელმძღვანელოში მასალის დალაგების თანმიმდევრობას, თემის — „მსგავს შესაკრებთა შეერთების“ ახსნისას შემოაქვს ერთწევრისა და ერთწევრების მსგავსების ცნება, რაც V კლასში არ განიხილება და ამიტომ V კლასის სახელმძღვანელოშიც არ არის მოცემული. მოსწავლეებს ცნებებსა და წესებზე აკეთებინებს სიტყვიერ ჩანაწერებს დაფაზე და მოითხოვს ის გადაწერონ ბავშვებმა რვეულებში, ასეთი მუშაობის შედეგად V კლასის მოსწავლეები ცუდად ფლობენ გავლილ მასალას.

ამავე რაიონის შემოქმედის საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. მდინარაძე უშინაარსოდ ატარებს გაკვეთილებს. მასწავლებელი არ არის გარკვეული VI კლასის საპროგრამო მასალაში, არ იცის სიმრავლის ცნება, ფუნქციის სიმრავლური განსაზღვრა, ამიტომ, გაკვეთილის გადაცემისას, უშვებს შეცდომებს, არ იცავს გაკვეთილის სტრუქტურას და ორგანიზაციას. ამოცანებს ხსნის ძველი არითმეტიკული ხერხებით (ნაწილების მიხედვით), ვერ იმარ-

ჯვებს ამოცანის ამოხსნის რაციონალურ გზებს, მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება თ. მანჯაფარაშვილის (სიღნაღის რაიონის მალაროს), პ. ბიწაძის (ქ. ჭიათურის ნიგოზეთის), ნ. ამბარცუმიანის (მარნეულის რაიონის წითელი სოფლის აზერბაიჯანელი), ჯ. ზაზიკაშვილის, მ. ქურდაძის (ხაშურის რ. გომის და სურამის) მუშაობა.

მოსწავლეებლთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იცნობს პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, ვერ ფლობს და არ იყენებს სწავლების აქტუალურ მეთოდებს. ამიტომ დაბალია მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ მათმა მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა.

სიღნაღის საშუალო სკოლის მათემატიკის მოსწავლეებელი მ. კრაწაშვილი დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან წრისა და კუთხის განსაზღვრა. მოსწავლეებელი დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებინებს კლასს, მოსწავლეებს არ აბამს მუშაობაში, სათანადო ადგილს არ უთმობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას.

84-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მოსწავლეებელ ა. ნაკაშიძეს შეუძლია საგანი ასწავლოს, მაგრამ არ მუშაობს სისტემატურად და არ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. IX კლასში ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილზე, პარამეტრის შემცველ უტოლობათა ამოხსნაზე მუშაობისას, შეცდომები დაუშვა. სუსტად ფლობს კლასი განტოლებათა და უტოლობათა სისტემების ამოხსნის ტექნიკას.

76-ე რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მოსწავლეებელი ტ. ბელიაკოვი წინასწარ არ არჩევს ასახსნელი თეორიული მასალის შესაბამის პრაქტიკულ სავარჯიშოებს, თემაზე წილადური განტოლებანი, რომლებშიც მნიშვნელში შედის უცნობი, მასალის გა-

სამტკიცებლად იხილავს $\frac{x-2}{3} - \frac{x+5}{4} = 1$ განტოლებას, რაც თემას არ პასუხობს, ცოტა დროს უთმობს ახალი მასალის გადაცემას და სხვ.

ასევე არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსწავლეებელი ა. ბერძენიშვილი, დ. დათუნაშვილი (მახარაძის რაიონის შემოქმე-

დის და დებაზუს საშუალო სკოლები), ვ. ნანობაშვილი, ი. იესაშვილი, უ. ნადირაძე, შ. ბაბაევი (სიღნაღისა და ვაჭირის საშ. სკოლები), გ. გაბრავა, დ. ბუკია (ზობის I და I მაისის საშ. სკოლები), მკედლიშვილი, ც. ნონიაშვილი, ც. მღებრიშვილი (ქარელის I, III და აგარის საშ. სკოლები), პ. მიროტაძე (ქ. ჭიათურის ხალიფაურის საშ. სკოლა), მ. კარახანიანი, მ. ადამიანი, ა. კიუხანიანი, ზ. ხასმაყდოვა, ა. ორუევი, გ. ჰუსეინოვი (მარნეულის I, შაუმიანის I რეაწლიანი, შაუმიანის სომხური და ტაკალის აზერბაიჯანული საშუალო სკოლები), ვ. ამყოლაძე (წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლა), მ. ოსიძე, მ. ბითაძე, ი. ჩიტაძე (ხაშურის რაიონის ტეზერის, ხაშურის III და V საშ. სკოლები), გ. ხუციშვილი, თ. ხარატიშვილი, თ. ხარაძე, ნ. ბეალავა, გ. სიხარულიძე, (თბილისის მე-8, მე-60, 134-ე საშუალო სკოლები). ნაკლოვანებებით ხასიათდება დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლების ც. კობალიანის, (ქ. თბილისის 134-ე), დ. დემეტრაშვილის (მე-60) მუშაობა.

შემოწმებულ სკოლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, გაკვეთილზე არ ეთმობა მას სათანადო ადგილი, ზერელედ წარმოებს მიცემული დავალების შესრულების შემოწმება, ამის გამო მოსწავლეები არ არიან შეჩვეული ამოცანებისა და მაგალითების დამოუკიდებლად გადაწყვეტას. მასწავლებელთა მიერ იზვიათად სწორდება მოსწავლეთა საშინაო და საკლასო დავალების რვეულები, ირღვევა საკონტროლო წერის ნორმები, ხშირად, წერისათვის შერჩეული თემატიკა ვერ პასუხობს მოთხოვნას. მოცემული ამოცანები და მაგალითები მარტივია, მაგრამ შედეგები მაინც არაა დამაკმაყოფილებელია. ნამუშევრები გულდასმით არ არის გასწორებული, ადგილი აქვს არაობიექტური შეფასების შემთხვევებს.

თბილისის 88-ე საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ი. ბალაშვილი) საკონტროლო წერისათვის მიცემული აქვთ სახეპირო მაგალითი $\cos 46^\circ \cos 16^\circ + \sin 46^\circ \sin 16^\circ$. სიღნაღის რაიონის ვაჭირის საშუალო სკოლის V კლასში (მასწ. ი. იესაშვილი) 25 სექტემბერს, 2, 13 და 30 ოქტომბერს ჩატარებულ წერებზე საშუალოდ მოსწავლეთა 55%-ს შეფასება „2“ აქვს მიღებული.

მარნეულის რაიონის წითელი სოფლის სომხური საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ნ. ამბარცუმინი) მოსწავლეს აღგებრასა და ელემენტარული ფუნქციების საკონტროლო წერით

ნამუშევარში ამოხსნილი აქვს ერთი სწორად, ერთი შეცდომით და ერთი სულ არა აქვს გაკეთებული და შეფასება „5“ უწერია, ამავე მოსწავლის გეომეტრიის საკონტროლო წერითი ნამუშევარში მელშიც უხეში შეცდომებია დაშვებული, „4“ზეა შეფასებული, ანალოგიური ფაქტები შეინიშნება ამავე კლასის სხვა მოსწავლის ნამუშევრების შეფასებისას.

ზობის რაიონის საგვიჩიოს 8 წლიანი სკოლის მასწავლებელ ქ. ხარაიშვილს გეომეტრიაში 9 ოქტომბერს ჩატარებული საკონტროლო წერის რვეულები 13 ნოემბერსაც არ ქონდა გასწორებული, საკონტროლო წერის შეფასების ნიშნები საერთოდ არ გადააქვს საკლასო ჟურნალებში.

მხარაძის რაიონის შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელ ა. ბერძენიშვილის მიერ არ სწორდება მოსწავლეთა საკლასო და საშინაო დავალების რვეულები, ანალოგიური შემთხვევები გამოვლინდა თბილისის მე-6, მე-60, 134-ე და სხვ. სკოლებში.

ცუდი შედეგები გამოავლინა სკოლების შემოწმების დროს ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა.

სიღნაღის რაიონის მაღაროს საშ. სკოლის V კლასში (მასწავლებელი თ. მანჯათარაშვილი) 27 მოსწავლიდან 14 მოსწავლის ნამუშევარი ორს იმსახურებს, ხოლო X კლასის (მასწ. გ. მირაშვილი) 26 მოსწავლიდან 13 ნამუშევარი 2-ზე შეფასდა.

გ. მირაშვილი სკოლის დირექტორია, იგი უნდა ანხორციელებდეს კონტროლს მოსწავლეთა ობიექტურად შეფასების საქმეზე, მაგრამ თვითონ იჩენს ლიბერალიზმს, მან 13 ნამუშევრიდან, რომლებიც შეფასებას 2-ს იმსახურებს, მხოლოდ 5-ს დაუწერა „2“. მისი სკოლიდან უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ორმა ხუთოსანმა და ოთხმა ოთხოსანმა კურსდამთავრებულმა არაღამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, რის გამოც მას განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ სასჯელი დაედო. მხარაძის რაიონის დვაბზუს, ბახვისა და შემოქმედის საშუალო სკოლების V, X კლასებში (მასწავლებლები დ. დათუნაშვილი, ი. კობლატაძე და თ. ჭანუყვაძე) საწერ თემებად მიეცათ ამოცანები და მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს ამოხსნილი ჰქონდათ, მაგრამ მოსწავლეთა 83%-მა ვერ შეასრულა მიცემული დავალება და შეფასება „2“ დაიმსახურა.

ქ. ჭიათურის ნიგოზეთის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. ბ. ბიწაძე) 20 მოსწავლიდან მხოლოდ სამმა მიიღო დამაკმაყოფილე-

ბელი შეფასება და 17-მა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი. ხობის I, I მაისისა და ხეთის საშუალო სკოლების .V, VIII, X კლასებში (მასწავლებლები დ. ბუკია, ა. ბუკია, გ. გაბრავა) საკონტროლო შედეგებზე მონაწილე 62 მოსწავლიდან 47-ს „ორი“ დაეწერა. ანალოგიური შედეგები გამოვლინდა ქარელის რაიონის ბერძენაულის რვაწლიან (მასწ. პ. დაბრუნდაშვილი), მარნეულის რაიონის წითელი სოფლის სომხურ (მასწავლებელი ნ. ამბარცუმიანი), სიღნაღის რაიონის მაღაროს, ვაჭირის (მასწავლებლები ლ. მანჯაფარაშვილი, თ. ქემაშვილი, ი. იესაშვილი, ვ. ნანობაშვილი), ქ. ჭიათურის, ხალიფაურის, ნიგოზეთის (მასწავლებლები ც. სახეჩიძე, ჯ. თაბაგარი, კ. ბიჭაშვილი, ტ. ტაბატაძე), თბილისის 39-ე (მასწ. ტ. ჩახაია), მე-8 (მასწ. ც. კვაჭაძე, ე. ხარატიშვილი), წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის და გეგუთის (მასწავლებლები თ. ჯიშკარიანი, ნ. ტყემელაშვილი) საშუალო სკოლებში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, ბევრ სკოლაში იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მაზარაძის რაიონის სოფ. ბახვის და სოფ. დვამბუს საშ. სკოლებში შექმნილია ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება, რაც გამართლებული არ არის სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომლებიც მეთოდური მუშაობის შინაარსს შეესაბამება და რომლებიც ხელს შეუწყობენ მასწავლებლის მეთოდური დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ზოგიერთი საკითხი ზოგადადა დაყენებული. მაგალითად. „ყველა მოსწავლეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა“, „ფუნქციონალური დამოკიდებულება ალგებრაზე და გეომეტრიაში“ და სხვ. მათემატიკის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება თბილისის 76-ე, ქარელის რაიონის აგარის, მარნეულის რაიონის ტაკალოს აზერბაიჯანულ, ხობისა და სიღნაღის რაიონების შესწავლილ სკოლებში.

ზოგიერთი სკოლის დირექტორისა და მათემატიკის მასწავლებლის უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს ის ამბავი, რომ მათემატიკის ოლიმპიადის ზონალურ ტურზე წარმოდგენილმა მოსწავლეთა საკმაო ნაწილმა მიცემული დავალების მხოლოდ პირობა გადაწერა და შეფასება 0 ან 1 ქულა დაიმსახურა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მათემატიკის ოლიმპიადის

სათვის მოსწავლეთა კონტინენტის შერჩევა და მათთან მუშაობა არ დგას სათანადო სიმძლავრეზე კლასგარეშე მუშაობა, ცუდი მუშაობენ მათემატიკის საგნობრივი წრეები. არ ხდება სათანადოდ დაკომპლექტება, ერთად არიან გაერთიანებული V-VIII კლასის მოსწავლეები, არ არის გათვალისწინებული ის, რომ V-VI კლასებში ახალი, ხოლო VII, VIII კლასებში ძველი პროგრამებით არის სწავლება.

სათანადოდ არ არის დაყენებული სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობა მათემატიკაში. მეცადინეობა ლექციური ფორმით ტარდება, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და მათ აქტივიზაციას, ფაკულტატიური მეცადინეობისათვის არ ჰყავთ სათანადო კონტინენტი, რის გამოც სამოსანი და ოთხოსანი მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული ჯგუფები. აღნიშნული ნაკლოვანებები შეინიშნება მახარაძის რაიონის ბახვის და დვაბზუს, თბილისის 84-ე და რესპუბლიკის სხვა სკოლებში.

მათემატიკის სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმიტაც აიხსნება, რომ შემოწმებული და ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები იშვიათად ახდენენ სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლას. იგი უფრო კომპლექსურ ხასიათს ატარებს, განათლების საბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილება სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის საკითხები და არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ მათემატიკის სწავლებას სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ისინი სისტემატურად არ ისმენენ მათემატიკის გაკვეთილებს, არ ახდენენ არსებული მდგომარეობის შესწავლასა და გაანალიზებას, სკოლის წლიურ სამუშაო და პედსაბჭოს სამუშაო გეგმებში სათანადოდ არ არის ასახული და გათვალისწინებული მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ხობის რაიონის I მაისის საშ. სკოლის დირექტორს ვ. ბუკიას მათემატიკის არც ერთი გაკვეთილი არ აქვს მოსმენილი. ამავე რაიონის საგვიჩიოს რვაწლიანი სკოლის დირექტორს ვ. ლომაიას, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლ. კიზირიას მათემატიკის რამდენიმე გაკვეთილი აქვთ მოსმენილი, მაგრამ გაკვეთილების ანალიზი ზერელე და ფორმალურია. სკოლის წლიურ

და პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული მათემატიკის სწავლების შემოწმება-განხილვა.



ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება დირექტორების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების ბ. მდინარაძის, შ. თავართქილაძის, გ. კეკელიას, ლ. სარიშვილის, მ. ხავთასის, გ. ბურჭულაძის (მახარაძის რაიონის ბახვის, შემოქმედის, დვაბზუს საშუალო სკოლები), მ. ზამთარაძის, ბ. მიქელაძის (ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლა), მ. გაფრინდაშვილის (ქ. ჭიათურის ხალიფაურის საშუალო სკოლა) მუშაობა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დირექტორებად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეებად უმეტეს შემთხვევაში ჰუმანიტარული დისციპლინების სპეციალისტები არიან, ამის გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება ხელმძღვანელობა და კონტროლი მათემატიკის სწავლებაზე.

ჯერ კიდევ ყველა სკოლას არ აქვს სათანადო მატერიალური ბაზა, არ აქვს მათემატიკის კაბინეტები, არასაკმარის რაოდენობით გააჩნიათ სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო იარაღები და ტექნიკური საშუალებანი, რის გამოც სწავლება უმეტესად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. თბილისის მე-8, 134-ე, მე-60, 84-ე, 88-ე, 76-ე, ქ. ჭიათურის ნიგოზეთისა და ქარელის რაიონის აგარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის კაბინეტები სრულყოფილად არ არის მოწყობილი, ხოლო ქ. თბილისის 157-ე რვაწლიანი, ჭიათურის მეორე, ხალიფაურის, ხობის რაიონის შემოწმებული სკოლები არ არის უზრუნველყოფილი მათემატიკის სწავლებისათვის აუცილებელი თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით.

მათემატიკა ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ასწავლიან მასწავლებლები, რომელთაც სათანადო გადამზადება არ გაუვლიათ. ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლაში 6 მასწავლებლიდან მხოლოდ ერთს აქვს გავლილი გადამზადება, ანალოგიური მდგომარეობაა ხობის, მანარაძის, ჭიათურის, სიღნაღის რაიონების შემოწმებულ სკოლებში.

სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ახალი პროგრამებით გადამზადებისათვის, შერჩევით, რამოდენიმე მოწინავე მასწავლებლის გადამზადება ხდება ბაქოსა და ერევანში, ხოლო შემდეგ, მათი მეშვეობით, ადგილებზე ტარდება

სემინარები, მაგრამ იგი ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს.
ამიტომ აღნიშნული სკოლების IV-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლები გადამზადების გარეშე მუშაობენ.

საქონლური
განმარტება

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილება, პედაგოგიური კაბინეტი, სკოლის ხელმძღვანელი ვერ უზრუნველყოფს მათემატიკის მასწავლებლებისადმი სათანადო დახმარებასა და კონტროლს, არ ღებულობს რადიკალურ ზომებს მათემატიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. რესპუბლიკის სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელონ მათემატიკის მასწავლებელთა მუშაობაზე, რისთვისაც ხშირად დაესწრონ მათემატიკის გაკვეთილებს, საფუძვლიანად გააანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები, მასწავლებლებს მისცენ კონკრეტული და საქმიანი მითითებანი შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ბ) იზრუნონ სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, გაატარონ სათანადო ღონისძიება თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და ტექნიკურ საშუალებათა მოწყობილობით უზრუნველსაყოფად;

გ) პერიოდულად შეისწავლონ მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლების მდგომარეობა, გაატარონ ღონისძიებანი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის;

დ) მკაცრი კონტროლი დააწესონ მათემატიკაში წერიითი მუშაობის სახეების რაოდენობისა და შეფასების ნორმების დაცვისათვის. იმ კლასებში, სადაც სწავლება ახალი პროგრამებით მიმდინარეობს, მოითხოვონ, რომ საკონტროლო წერების მომზადება-ჩატარებისათვის მასწავლებლები სარგებლობდნენ დამხმარე სახელმძღვანელოებითა და დიდაქტიკური მასალებით;

ე) გარდაქმნან და გააუმჯობესონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა, მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელებს სამუშაო გეგმებში შესატანად რეკომენდაციები მისცენ ისეთ საკითხებზე, რომელთა განხილვა მასწავლებლებს მოეხმარება უშუალოდ მუშაობის პროცესში ცალკეული თემების შესწავლისას;

ვ) მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა მიმდინარე, მეოთხედურ, წლიურ, საგამოცდო და საბოლოო შეფასების ობიექტურობაზე.

2. მათემატიკის მასწავლებლებმა:

ა) სერიოზული ყურადღება დაუთმონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების საქმეს, სისტემატურად იმუშაონ ახალ სტაბილურ და დამხმარე სახელმძღვანელებზე, თანამედროვე მეთოდურ ლიტერატურაზე, გაეცნონ სტატიებს და წერილებს, რომლებიც მასწავლებელთა დასახმარებლად ყურნალებსა და გაზეთებში იბეჭდება;

ბ) დაიცვან გაკვეთილის სტრუქტურა და ორგანიზაცია, მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, რისთვისაც ღრმად და საფუძველიანად შეისწავლონ პროგრამა, სახელმძღვანელო, დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, წინასწარ კარგად დაგეგმონ გაკვეთილზე ასახსნელი თეორიული მასალა და მასთან დაკავშირებული მაგალითები და ამოცანები, გაითვალისწინონ კლასში განსახილველი და საშინაო დავალებად მისაცემი მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებული ყველა მოსალოდნელი შემთხვევა, მათემატიკის და განსაკუთრებით გეომეტრიის გაკვეთილები ჩაატარონ სათანადო თვალსაჩინოების გამოყენებით, მიაღწიონ იმას, რომ ახლად გადაცემული მასალა მოსწავლემ გაკვეთილზე გაიგოს, გაიზაროს და შეისწავლოს;

გ) მოფიქრებულად, წინასწარი მომზადების საფუძველზე მისცენ მოსწავლეებს საშინაო დავალებანი, რეგულარულად აწარმოონ მოსწავლეთა საკლასო და საშინაო დავალების რვეულების შემოწმება, ტიპური შეცდომების გაანალიზება, მიაღწიონ იმას, რომ დავალების რვეულები იყოს შინაარსობრივად და ესთეტიკურად კარგად ნაწარმოები;

დ) გაკვეთილებზე სისტემატურად დაუთმონ ადგილი მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებას, ამასთან, ნიშანი აუცილებლად შეესაბამებოდეს მოსწავლის ცოდნას, შეფასება ყოველთვის იყოს ობიექტური და ატარებდეს აღმზრდელობით ხასიათს;

ე) სისტემატურად აწარმოონ გავლილი მასალის გამეორება, სათანადო ყურადღება მიაქციონ ზეპირ ანგარიშს, ამოცანებისა და მაგალითების გადაწყვეტისას, გარდაქმნებისა და გამოანგარიშების დროს, სადაც შესაძლებელი და მიზანშეწონილია, მიმართონ ზეპირ გამოანგარიშება-გამოთვლებს;

ვ) ზუსტად დაიცვან საკონტროლო წერის სახეები და რაოდენობა, წერების მომზადებისა და ჩატარებისათვის იხელმძღვანელონ სათანადო მეთოდური ლიტერატურით და რეკომენდაციებით.

საკონტროლო წერებისას დააწესონ მკაცრი კონტროლი მოსწავლე-
თა დამოუკიდებელ მუშაობაზე, გულდასმით გაასწორონ ნაწერები,
შეფასებისას დაიცვან არსებული ნორმები, მომდევნო გაკვეთილზე
კლასში მოაწყონ წერის შედეგებისა და ტიპური შეცდომების გა-
ნალიზება.

3. ახფაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამ-
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების გა-
ნათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში მათემატიკის სწავ-
ლების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიე-
ბისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასახონ და
განახორციელონ ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმო-
საფხვრელად; მათემატიკის სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვა-
ნებების აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობის შესახებ 1974
წლის 30 მაისამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს;

ბ) სკოლების შემოწმებისას სათანადო ადგილი დაუთმონ მა-
თემატიკაში კლასგარეშე მუშაობას, მათემატიკის საგნობრივი წრე-
ების საქმიანობას, ოლიმპიადებში მონაწილეობას და სხვ.;

გ) გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში მათემა-
ტიკის კაბინეტების შესაქმნელად და მათი სათანადო ტექნიკური
საშუალებებით აღჭურვის უზრუნველსაყოფად;

დ) სკოლების ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობაში შემ-
დგომი ცვლილებებისას გაითვალისწინონ, რომ ერთ-ერთი (დირექ-
ტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუ-
შაობის დარგში) იყოს საბუნებისმეტყველო-მათემატიკური დის-
ციპლინის სპეციალისტი.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ქარელის რაიონის ბერძე-
ნაულის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი პ. დაბ-
რუნდაშვილი განათლების განყოფილების მიერ განთავისუფლებუ-
ლია მასწავლებლობიდან.

5. გაკვეთილების მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ჩატარე-
ბისათვის მასწავლებლებს თ. მანჯაფარაშვილს (სიღნაღის რაიონის
მალაროს), შ. ბიწაძეს (ქ. ჭიათურის ნიგოზეთის), ი. რამინაშვილს
(მახარაძის II), ქ. ხაზაიშვილს (ხობის რაიონის საგვიჩიოს), ნ. ამ-
ბარცუმიანს (მარნეულის რაიონის წითელი სოფლის სომხური),

ა. ბარიამოვს (მარნეულის რაიონი ტაკალოს აზერბაიჯანული) გა-
მოეცხადოთ საყვედურით.

6. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მასწავლებლებს
ნ. ხარაძეს, ე. ხარატიშვილს (თბილისის მე-8), ნ. ბეალავას (თბი-
ლისის მე-60), მ. სიხარულიძეს (თბილისის 134-ე), თ. ბელიაკოვას
(თბილისის 76-ე), მ. კარახანიანს (მარნეულის რაიონის შაუმია-
ნის რვაწლიანი), მ. ადამიანს, ა. კიუხანიანს (მარნეულის რაიონის შაუ-
მიანის საშუალო), ზ. ხასმაძეძოვას (მარნეულის პირველი), ა. ორ-
კოჯოვას, გ. ჰუსეინოვს (მარნეულის რაიონის ტაკალოს), ც. სახე-
ჩიძეს (ქ. ჭიათურის ხალიფაურის), ტ. ტაბატაძეს (ქ. ჭიათურის ნი-
გოზეთის), ვ. ნანობაშვილს, ი. იესაშვილს (სიღნაღის რაიონის ვა-
ჭირის), შ. ბაბაევს, უ. ნადირაძეს. მ. კრაწაშვილს (სიღნაღის საშუა-
ლო), ი. კოპლატაძეს (მახარაძის რაიონის ბახვის), თ. ჭანუყვაძეს,
გ. მდინარაძეს, ა. ბერძენიშვილს (მახარაძის რაიონის შემოქმედის),
დ. დათუნაშვილს (მახარაძის რაიონის დვაბზუს), გ. გაბრავას (ხო-
ბის პირველი), დ. ბუკიას (ხობის რაიონის I მისის), ც. მჭედლი-
შვილს (ქარელის I) მიეთითოთ.

7. სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ.
ე. დალაქიშვილმა) მიმდინარე სასწავლო წლის დამლევამდე შეის-
წავლოს მაღაროს საშუალო სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუ-
შაობის ძდგომარეობა, გაატაროს საჭირო ღონისძიება და შედეგი
აცნობოს განათლების სამინისტროს.

8. ბ. ძხელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რეს-
პუბლიკური სასახლის მათემატიკის კაბინეტმა (გამგე ე. ცხვედაძე)
გააუმჯობესოს მუშაობა, გაშალოს და ნაყოფიერი გახადოს კაბინეტ-
თან არსებული წრეების საქმიანობა.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახა-
შვილმა):

ა) მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე პირველ რიგში
გამოიწვიოს ის პედაგოგები, რომლებსაც ახალი პროგრამებით გა-
დამზადება არ გაუვლიათ. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადამ-
ზადებაში ჩააბან მასწავლებლები, რომლებიც საგნისა და მისი სწავ-
ლების მეთოდების არასაკმარე ცოდნას ამჟღავნებენ;

ბ) შეისწავლოს რესპუბლიკის სკოლებში მოწინავე მასწავლე-
ბელთა გამოცდილება და მუშაობის მეთოდები, მოაწყოს მათი გან-
ზოგადება.

10. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ):

ა) უზრუნველყოს მოსამზადებელი და I-III კლასების სწავლებელთათვის მათემატიკის მეთოდური სახელმძღვანელოებისა და დიდაქტიკური მასალების დაჩქარებით მომზადება და გამოცემისათვის გადაცემა;

ბ) შეიმუშაოს და მოამზადოს გამოსაშვებად დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი; პლაკატები, მოდელები, დიაფილმები და სხვა.

1. გაზეთ „სახალხო-განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ), ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯიამ) სისტემატურად გამოაქვეყნონ სტატიები და მეთოდური რეკომენდაციები მათემატიკის პროგრამებით გათვალისწინებული ცალკეული საკითხების სწავლებაზე.

12. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ) მიიღოს ზომები მათემატიკაში ახალ პროგრამებზე გადასვლის გეგმის შესაბამისად მათემატიკის სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა დამზარე სახელმძღვანელოებისა და დიდაქტიკური მასალების დროულად გამოცემის უზრუნველსაყოფად.

13. მეთოდის განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა), მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლებაზე გადასვლის დამთავრებისთან დაკავშირებით, შეიმუშაოს მითითებანი მათემატიკაში საკონტროლო წერების სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ.

14. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) პერიოდულად მოაწყოს სკოლებში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება.

15. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ნ. ჯიბლაძეს) დაავალოს რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებსა და მათემატიკის კათედრებს, უფრო ფართოდ გაშალონ საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებთან და უფროსი კლასის მოსწავლეებთან მათემატიკაში სემინარულ-საკონსულტაციო მუშაობა.

16. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. დაისახოს და განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი რეს-

პუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
მინისტროს

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 12 თებერვლის ბრძანება № 108

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის
სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი
გაუმჯობესების ღონისძიებათა
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამ-
მართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს,
რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთგვარი
დადებითი მუშაობა ტარდება ფიზიკის სწავლების ჯეროვან სიმაღ-
ლეზე დასაყენებლად. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგა-
ნოების, სკოლების ხელმძღვანელთა და ფიზიკის მასწავლებელთა
ერთი ნაწილი აკმაყოფილებს ამ საგნის სწავლების სადღეისო ამო-
ცანებს.

ფიზიკის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავში-
რებით, განათლების ორგანოებმა, შეფი ორგანიზაციების დახმა-
რებით, უკანასკნელ წლებში ქ. თბილისის 87-ე, 52-ე, 53-ე, ლიბის
რაიონის პირველი მაისის, ცხინვალის 1-ლი, ცხაკაიას მე-2, მე-7,
თელავის მე-4 და ზოგიერთ სხვა სკოლაში კარგად მოაწყვეს ფიზი-
კის კაბინეტები და შეავსეს სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა
შესაბამისად ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობით.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულმოდგინედ ემზადება გაკვე-
თილებისათვის, სწავლებას უნარიანად უკავშირებს მოსწავლეთა
პრაქტიკულ საქმიანობას. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავ-
ლებლები: ლ. კელსი (ქ. თბილისის 52-ე საშუალო სკოლა), კ. ხვითარია
(ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლა), დ. ბოკუჩავა (ქ. თბილისის
50-ე საშუალო სკოლა), ა. აგაევი (ქ. თბილისის 78-ე საშუალო
სკოლა), ა. პირკულოვა (ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლა),
ს. ფუხაევი (ქ. ცხინვალის პირველი საშუალო სკოლა), მ. ჭიჭავჭიანი

(თელავის მე-4 საშუალო სკოლა), თ. საბახტარაშვილი (ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა), დ. კობახიძე (ხოზის რაიონის პირველი რაიონის საშუალო სკოლა) და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ მოემზადა ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლისათვის. ზოგიერთ სკოლაში, განსაკუთრებით დამოუკიდებელ რეაწლიან სკოლებში, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა. რესპუბლიკის 1071 რეაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი არა აქვს 420 სკოლას, ხოლო 1588 საშუალო სკოლიდან — 84 სკოლას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალქალაქის რაიონი, სადაც 32 რეაწლიანი სკოლიდან კაბინეტი არა აქვს 15 სკოლას, ხოზის რაიონის 11-დან 5-ს, ქ. ქიათურის 18-დან 11-ს, გარდაბნის რაიონის 21-დან 9-ს, ხაშურის რაიონის 12 სკოლიდან 7-ს.

მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ არის გამოყოფილი საჭირო ფართობი ფიზიკის კაბინეტისათვის, ზოგან კი იგი შეუფერებელ ოთახშია მოთავსებული. ქ. თბილისის 50-ე (დირექტორი ლ. ჭინჭარაძე, კაბინეტის გამგე რ. ჩუევა), გარდაბნის აზერბაიჯანული (დირექტორი ტ. სადიკოვი, კაბინეტის გამგე ი. მამედოვი), გარდაბნის რაიონის ჯანდარის აზერბაიჯანული (დირექტორი ვ. ახმედოვი, კაბინეტის გამგე მ. ჰუსეინოვი), თბილგრესის (დირექტორი ვ. კოკია, კაბინეტის გამგე შ. აფციაური), გარდაბნის რუსული (დირექტორი გ. გუსაევი, კაბინეტის გამგე ბ. ცქვიტინიძე), ხოზის პირველი (დირექტორი ა. ბერაია, კაბინეტის გამგე გ. ხასია); თელავის რაიონის კონდოლის (დირექტორი ვ. სვანიძე, კაბინეტის გამგე მ. კირვალიძე), ცხაკაიას რაიონის ნოსირის (დირექტორი ქ. თოდუა, კაბინეტის გამგე ვ. ბუკია), თეკლათის (დირექტორი ვ. დიხამინჯია, კაბინეტის გამგე ბ. გვარამია), ქიათურის რაიონის ნიგოზეთის (დირექტორი ა. ლაბაძე, კაბინეტის გამგე ვ. ბრეგვაძე), შაიკოვსკის რაიონის ობჩეს (დირექტორი შ. მშვენიაძე, კაბინეტის გამგე ქ. ქარჩილაძე), ცხინვალის მე-6 (დირექტორი ო. გასიევი, კაბინეტის გამგე ტ. გასიევა), მე-7 (დირექტორი ხ. ცხოვრებოვი, კაბინეტის გამგე ვ. ბიტიევი), ქ. თბილისის 111-ე (დირექტორი ე. ციციშვილი, კაბინეტის გამგე შ. მუმლაძე) და 117-ე (დირექტო-

რი მ. სვანიძე, კაბინეტის გამგე რ. მეცხვარიაშვილი) საშუალო სკო-
ლებში გამოყოფილია საკმაო ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოწყობი-
ლებია და შევსებული არაა საჭირო დგამ-ავეჯითა და ხელსაწყო-
იარაღებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელია
ერთი ნაწილი სისტემატურად არ მუშაობს თავის თავზე, არ იმაღ-
ლებს კვალიფიკაციას, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკ-
ლებად სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, ვერ
ფლობს საგნის სწავლების მეთოდს, ხერხებს, ფიზიკის სასკოლო ექს-
პერიმენტის ტექნიკას და დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებს გაკ-
ვეთილებს. სუსტად მუშაობენ მასწავლებლები: მ. სუმბაძე (ქ. თბი-
ლისის 111-ე საშუალო სკოლა), გ. ხასია (ხობის 1-ლი საშუალო
სკოლა), რ. ჩუევა და ლ. გოგოძე (ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკო-
ლა) და ბ. ცქვიტინიძე (გარდაბნის რუსული საშუალო სკოლა).

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული ფიზიკის სწავლება და
დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ქ. თბილისის 117-ე (მას-
წავლებლები: რ. მეცხვარიაშვილი, გ. ბერიძე.), 124-ე (მასწავლებ-
ლები ნ. ხითარძე, თ. ქემოკლიძე), ცხინვალის პირველი (მასწავ-
ლებლები ა. გიუნაშვილი, ო. მარგივეი, თ. მინდიაშვილი) ცხაკაიას
რაიონის ნოქალაქევის (მასწავლებელი ვ. წოწონავა), თელავის
(მასწავლებელი ბ. გვარამია), ნოსირის (მასწავლებელი ვ. ბუკია),
თელავის მე-4. (მასწავლებელი ლ. ბაბოვი), თელავის რაიონის კონ-
დოლის (მასწავლებელი მ. კირვალიძე), ახალქალაქის პირველი (მას-
წავლებელი ვ. ავაბაბიანი), მაიაკოვსკის რაიონის იბჭის (მასწავლე-
ბელი ქ. ქარჩილაძე) საშუალო სკოლების რიგ კლასებში.

შემოწმებულ სკოლებში ზოგიერთ კლასში უახლოესი განული-
ლი საპროგრამო მასალიდან მასწავლებელთა მიერ შერჩეულ საკით-
ხებსა და ამოცანებზე ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა ცხად-
ყო, რომ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ქ. თბილისის
111-ე, 117-ე, 124-ე, გარდაბნის რაიონის თბილგორესის, გარდაბნის
აზერბაიჯანული, ჯანდარის აზერბაიჯანული, აქთაყლიის აზერბაი-
ჯანული, თელავის მე-4, თელავის რაიონის კონდოლისა და აკურცხ
საშუალო სკოლების კლასებში.

რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა დაბალ მომზადებაზე
მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1972-1973 სასწავლო წელს ჩატარებულ
ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურ-
ში მონაწილე VII-X (XI) კლასების 266 მოსწავლიდან „0“, „1“,

და „2“ ქულა მიიღო 106 მოსწავლემ, ხოლო ნორჩ ფიზიკოსთა VI საკავშირო ოლიმპიადაში რესპუბლიკიდან წარგზავნილი 12 მოსწავლეიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გამარჯვება.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. საქართველოს სსრ განათლება საინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითა ბარათი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ“ განსახილველად და საჭირო ზომების გასატარებლად დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლას.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებიან და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) გადაკრით გააუმჯობესონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზიკის სწავლებისადმი, სისტემატურად და საფუძვლიანად შეისწავლონ ფიზიკის სწავლების მდგომარეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ფიზიკის სწავლების იდეურ-თეორიული და მეთოდური ღონისძიებებისათვის, ფართოდ დანერგონ სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზიკის კაბინეტების მოწყობა-შეესებისა და სასწავლო მუშაობაში მათი სისტემატურად გამოყენების საქმეს;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა მეთოდური კაბინეტების ხაზით რეგულარულად წარმოებდეს ფიზიკის მასწავლებელთა სექციების მუშაობა; რაიონის (ქალაქის) მეთოდურ კაბინეტთან არსებულ ფიზიკის სექციის ხელმძღვანელად შეარჩიონ სათანადო ცენტრის, მუშაობის გამოცდილების მქონე მუშაკი და დააკისრონ მას პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლებაზე;

გ) ამასთან, რაიონის (ქალაქის) ცენტრის რომელიმე სკოლაში სამუშაოდ მოაწყონ ფიზიკის კაბინეტი და გახადონ იგი ბაზად მთელი რაიონის ფიზიკის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური და-ოსტატებისათვის;

დ) შიშდინარე სასწავლო წლის ბოლომდე „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ საფუძველზე ჩაატარონ ფიზიკის კაბინეტების ზუსტი აღწერა მისი აღჭურვილობის გამოსავლინებლად, ზედმეტი ხელსაწყო-იარაღები გადაანაწილონ რაიონის (ქალაქის) სკოლებს შორის და დარჩენილი ზედმეტი კომპლექტების სია და სკოლებისათვის საჭირო ხელსაწყოებზე მოთხოვნა წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1974 წლის 15 ივლისამდე;

ე) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ამ ბრძანებაში და სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და ისეთები, რომლებიც ვერ ახერხებენ არსებითად გარდაქმნას საგნის სწავლება, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან;

ვ) ფიზიკის მასწავლებელთა საერთო მომზადების დონის ასამაღლებლად ფართოდ ჩააბან ისინი თვითგანათლების პროგრამით მომუშავე მასწავლებელთა ქსელში, სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე და კონსულტაციების ჩატარება საზოგადოებრივ საწყისებზე სთხოვონ ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებს ან დაავალონ რაიონის (ქალაქის) ფიზიკის მასწავლებელთა სექციის ხელმძღვანელებს;

ზ) ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის თანამდებობაზე, სკოლის დირექტორის წარდგენით, დანიშნონ მხოლოდ კვალიფიციური მუშაკები და საგნის მასწავლებლებთან ერთად მათ დააკისრონ პასუხისმგებლობა კაბინეტის მოვლა-დაცვაზე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკის კაბინეტებისათვის აუცილებელი სათავსოების გამოსაყოფად, უზრუნველყოფონ ისინი ახალი ნიმუშის დგამ-ავეჯით, მოაწიონ ელექტროგაყვანილობა და დამბნელება; სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების შევსება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ შესაბამისად;

ბ) რეგულარულად შეამოწმონ ფიზიკის სწავლების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირდება სწავლება პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებენ მასწავლებლები ხელსაწყო-იარაღებს სწავლებაში, ტარდება თუ

არა პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები;

გ) ჩაატარონ კაბინეტის მოწყობილობის ზუსტი აღწერა. მის მოსაწესრიგებლად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 27 მაისს დამტკიცებულ „მითითებათა“ შესაბამისად, გააპიროვნონ კაბინეტი საგნის მასწავლებელზე; არ დაუშვან კაბინეტის გამგის განთავისუფლების შემთხვევაში კაბინეტის გადაუბარებლობა; მასწავლებლებთან ერთად კაბინეტში არსებულ მოწყობილობაზე მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრონ ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტსაც.

4. ფიზიკის მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტ-ლაბორატორიები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, რისთვისაც იხელმძღვანელონ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხით (ყურნალი „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“, 1971 წლის № 3); ზუსტად დაიცვან კაბინეტის მოვლისა და ხელსაწყო-იარაღების შენახვის უსაფრთხოების წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ სკოლის სასწავლო სახელოსნოები და წრეობრივი მუშაობა.

ბ) სისტემატურად იზრუნონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის. საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და მეტი ადგილი დაუთმონ გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს, მეოთხედში ერთხელ ჩაატარონ საკონტროლო წერა და სისტემატურად შეამოწმონ მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერით დავალებათა რვეულები;

გ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებას, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასების დროს ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სავარაუდო ნორმები ფიზიკაში“, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებს მოსწავლე თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საკითხებს.

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა პო-
ფესიულ ორიენტაციას და იმას, რომ ფიზიკის სწავლება მკაფიოდ
იყოს დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო და შრომითი
ღვაწის საგნებთან, რისთვისაც სათანადო კავშირი იქონიონ ამ საგ-
ნების მასწავლებლებთან;

ე) გეგმიანად და შინაარსიანად მოაწყონ საწარმოო ხასიათის
ექსკურსიები, წინასწარ შეისწავლონ საექსკურსიო ობიექტები, ექს-
კურსიის ჩატარების წინ მოსწავლეთათვის შეადგინონ კითხვარები
იმაზე, თუ რა ციფრობრივი მონაცემების აღება შეიძლება წარმოე-
ბაში, ამ წარმოების პროცესებთან დაკავშირებით პრაქტიკული ხა-
სიათის ამოცანების შესადგენად.

5. საგნის სწავლების ჭუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა და-
ბალი მომზადების გამო, ფიზიკის მასწავლებლებს: მ. სუმბაძეს (ქ.
თბილისის 111-ე საშუალო სკოლა), რ. ჩუევისა და ლ. გოგოძეს (ქ.
თბილისის 50-ე საშუალო სკოლა), გ. ხასიას (ხობის პირველი სა-
შუალო სკოლა), ბ. ცქვიტინიძეს (გარდაბნის რუსული საშუალო
სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

6. საგნის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებებისა და მოს-
წავლეთა დაბალი მომზადების გამო, მასწავლებლებს: რ. მეცხვარია-
შვილს, გ. ბერიძეს (ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა), ნ. ხითა-
რიძეს და თ. ქემოკლიძეს (ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლა),
ა. გიუნაშვილს, თ. მარგივეს, თ. მინდიაშვილს (ცხინვალის პირვე-
ლი საშუალო სკოლა), ვ. წოწონავას (ცხაკაიას რაიონის ნოქალაქე-
ვის საშუალო სკოლა), ბ. გვარამიას (ცხაკაიას რაიონის თეკლათის
საშუალო სკოლა), ვ. ბუკიას (ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო
სკოლა), ლ. ბაბოევს (თელავის მე-4 საშუალო სკოლა), მ. კირვალ-
ძეს (თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლა), ვ. ავაბაბიანს
(ახალქალაქის პირველი საშუალო სკოლა), ქ. ქარჩილაძეს (მაიაკოვს-
კის რაიონის ობჩის საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვი-
ლის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტ-
მა (ამხ. გ. საყვარელიძემ), საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-
როსთან შეთანხმებით, მოამზადოს გამოსაცემად მეთოდური ლიტე-
რატურა ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებით სწავლების თანა-
მედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ფართოდ განაზოგადოს ფი-
ზიკის მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა):

ა) გაათავსოს ფიზიკის კაბინეტი, მოაწყოს იგი სანიმუშო სახეობის მეთოდოლოგიის შოთხვნათა შესაბამისად, შეავსოს ხელსაწყო-იარაღებით ისეთი რაოდენობით, რომ შესაძლებელი იყოს ახალი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა სადემონსტრაციო ცდის, ფრონტალური ლაბორატორიული მუშაობისა და პრაქტიკუმის ჩატარება;

ბ) უზრუნველყოს საშუალო და რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა გადამზადება 1974 წლისათვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, კურსებზე ლექტორებად მოწვეულ იქნენ კვალიფიციური და სათანადო გამოცდილების მქონე მუშაკები;

გ) ყოველი სასწავლო წლის აგვისტოსა და იანვარში მოაწყოს ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების ფიზიკის სექციის ხელმძღვანელთა ერთკვირიანი სემინარი VI-X კლასების ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად;

დ) უზრუნველყოს 1974 წლისათვის დამტკიცებული გეგმის ზევით 90 ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის გადამზადება;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოსაცემად მოამზადოს მეთოდური ლიტერატურა, მითითებული ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებით სწავლების ზოგჯერ საკვანძო საკითხზე და ფართოდ განზოგადოს ფიზიკის მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილება;

ვ) რეგულარულად მიაწოდოს ჟურნალ „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად ინფორმაცია ყოველი ახლად გამოსული ფიზიკური ხელსაწყო გამოყენების შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალიამ) უპიკოლეს დროში უზრუნველყოს სპეციალიზებული მანქანის სრულყოფილად მოწყობა და სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გაწევისას ხელსაწყო-იარაღების აწყობა, რეგულირება და, დაზიანების შემთხვევაში, შეკეთება.

10. ჟურნალმა „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ (ამხ. ქ. ბაკურაძემ) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლებში ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლების მიმდინარეობისა და ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდური დახმარებისათვის.

საქართველოს
შინაგარე საქმეთა

11. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა):

ა) შემოზიდოს რესპუბლიკაში ყველა საჭირო სახის ფიზიკის ხელსაწყო-იარაღი აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად; აღკვეთოს სკოლებში ერთგვარი ხელსაწყოების ზედმეტი ზაოდენობით მომარაგების პრაქტიკა და ძირითადად უზრუნველყოს სკოლები ფრონტალურ-ლაბორატორიული და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოთა კომპლექტებით;

ბ) თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მდინარეში მიღებული ყოველი ახალი ხელსაწყო ერთი ეგზემპლარი გამოეყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტს მასწავლებლებისათვის გასაცნობად და უშუალოდ „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ გამოსაქვეყნებლად ინფორმაციის მოსამზადებლად.

12. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ) უზრუნველყოს VIII-X კლასებში ახალი სასწავლო პროგრამებით ფიზიკის სწავლების შესახებ მეთოდური ლიტერატურის რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

13. აღნიშნული ბრძანება და სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სესიონებზე, დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

14. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 7 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
აშხ. თ. ვ. ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ს

მოწმენებითი ბარათი

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის
სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის დირექტორის დ. გვალიას, ქ. თბილისის 73-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო აზერბაიჯანული სკოლის მასწავლებლის-გ. გუსეინოვის, განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის გამგის გ. თალაკვაძის, განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის ინსპექტორ-მეთოდისტის პ. თუთბერიძის, სახელმძღვანელოების განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტის ჯ. კიკნაძის, მეთოდის განყოფილების გამგის ლ. მნათობიშვილის, ქ. თბილისის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტის გ. ორჯონიკიძის, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების გ. სანაძის, ე. სურგულაძის, ქ. თბილისის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის გამგის შ. სურგულაძის, განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის ს. ტონიას (ხელმძღვანელი), ქ. თბილისის 92-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სომხური სკოლის დირექტორის ა. შაგინიანის, განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის ინსპექტორ-მეთოდისტის გ. ჯავახიძის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის მეთოდისტის რ. ჯაფიაშვილის შემადგენლობით 1973 წლის

20 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე შეისწავლა რესპუბლიკის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობა. საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობამ VI-X კლასებში ფიზიკის სწავლების სერიოზული გარდაქმნა გამოიწვია, განახლებულია სასწავლო მასალის შინაარსი, სხვაგვარი გახდა მასალის დალაგება, შეიცვალა რიგი ძირითადი ფიზიკური ცნებების: მასის, ძალის, სიმკვრივის, შინაგანი ენერჯის შემოღების მეთოდოლოგია და სხვა.

რესპუბლიკის ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების VI კლასებში ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოთი მუშაობა დაიწყო 1969-1970 სასწავლო წლიდან. მომდევნო კლასები ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადავიდნენ შემდგომ სასწავლო წლებში და დაამთავრეს — რუსული სკოლების X კლასებში 1972-1973 სასწავლო წელს და ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების ამავე კლასებში — მიმდინარე, 1973-1974 სასწავლო წელს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სექტორმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტმა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მეთოდურმა კაბინეტებმა. მომზადდა და სკოლებს დროულად დაეგზავნა ახალი სასწავლო გეგმები, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხა ფიზიკაში და მეთოდური მითითებანი ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლისათვის სკოლებში სათანადო პირობების მოსამზადებლად. ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის ეწყობოდა ქალაქის (რაიონის) მეთოდურ კაბინეტთან არსებული ფიზიკის სექციის ხელმძღვანელთა მოკლევადიანი კურს-სემინარები და ახალი სასწავლო პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და შინ ფილიალებში 1973 წელს დახელოვნების კურსები გაიარა 351-მა ფიზიკის მასწავლებელმა, მათ

შორის X კლასის 110 მასწავლებელმა და მოკლევადიანი კურს-სემინარები — ქალაქისა და რაიონების ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდ-გაერთიანების 66 ხელმძღვანელმა.

საქართველო
განმანათლებლები

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებასა და მეთოდურ კაბინეტს გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა აქვთ ჩატარებული ფიზიკის ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით და სათანადო წარმატებებიც აქვთ მოპოვებული. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებულ ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდური სექციის სხდომებზე განხილულია ცვლილებები, რომლებიც შეტანილია VIII-X კლასების ფიზიკის სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, ამ პროგრამებით გათვალისწინებული ცალკეული თემების გაკვეთილებად დანაწილების, მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩატარების მეთოდის საკითხები.

ხყოფიერ მუშაობას ატარებს ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლასთან შექმნილი ამ რაიონის ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდური სექცია (ხელმძღვანელი ლ. ჯაშიაშვილი), მის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ამ საგნის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. სხდომებზე განხილულია ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში მომხდარი ცვლილებები ცალკეული კლასების მიხედვით. მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩატარების, სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული თემების გაკვეთილებად დაყოფის, ახალი კონსტრუქციის ზოგიერთი ხელსაწყოების გაცნობისა და გამოყენების მეთოდისა და სხვა საკითხები. ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ხობის, თელავისა და ცხაკაიას მეთოდგაერთიანებები (ხელმძღვანელები — დ. კობახიძე, შ. ბორჩაშვილი და ზ. ხოჭოლავა).

შემოწმებით გამოიკვავა, რომ ფიზიკის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც სკოლებში მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვს, განათლების ორგანოებმა, შეფი ორგანიზაციების დახმარებით, უკანასკნელ წლებში ბევრ სკოლაში სანიმუშოდ მოაწყვეს ფიზიკის კაბინეტი. რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა გაითვალისწინეს, რომ ახალ პროგრამებში სასწავლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მოსწავლეთა ექსპერიმენტულ მუშაობას

და ფიზიკის კაბინეტები შეავსეს VI-X კლასების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციული ცდების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით. ამჟამად რესპუბლიკის 1588 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი მოწყობილია 1504 სკოლაში, 1071 რვაწლიანი სკოლიდან — 651 სკოლაში.

ამასთან ერთად, ერთგვარად გაუმჯობესდა ხელსაწყო-იარაღებით, მოქმედი მოდელებით, დგამ-ავეჯით, დანადგარებით, სამუშაო იარაღებითა და მასალებით სკოლების მომარაგება.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების რიგი სკოლების ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოექიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს „საშუალო და რვაწლიანი სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულებას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. შუბინთიძე, კაბინეტის გამგე კ. ხვითარია) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია 145 მ² საერთო ფართობის სამი ოთახი, რომლებშიაც მოწყობილია აუდიტორია ვაკეეთილების ჩასატარებლად, ლაბორატორია მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის და საპრეპარატო. კლას-ლაბორატორია შევსებულია დგამ-ავეჯით, მოწყობილია ავტომატური დაბნელება, ელექტროგაყვანილობა (მუდმივი და ცვლადი დენისათვის), დადგმულია ფიზიკის ყველა განყოფილებისათვის საჭირო საერთო ხელსაწყოები, კლას-ლაბორატორიის ბოლოს, სპეციალურად დამზადებულ მაგიდაზე, დადგმულია კინოაპარატი, სადემონსტრაციო მაგიდასთან ახლოს კედელზე ჰკიდია ელექტროგამანაწილებელი დაფა, საიდანაც მასწავლებელი ცენტრალიზებულად მართავს კაბინეტის ყველა მოწყობილობას, რაც მეტად აადვილებს სწავლებაზე მათი გამოყენების საქმეს. საკლასო დაფის ზემოთ, დახრილად, მოთავსებულია ეკრანი, რომელზედაც ხდება ხელსაწყოთა პროექტირება დიაპოზიტივების, დიაფილმების სადემონსტრაციო მაგიდაზე მოთავსებული საპროექციო აპარატურიდან და კინოდანადგარიდან. სადემონსტრაციო მაგიდის ერთ მხარეს მიყვანილია წყალსადენის მილი და დადგმულია ბაკანი წყლის ჩასაშვებად. საკლასო დაფის ქვემოთ, კედელზე, მოთავსებულია პანელი საკლასო სამხაზველო ინსტრუმენტებით. საკლასო დაფის მარჯვნივ, პანელზე, მოთავსებულია ბარომეტრი, ანეროიდი, თერმომეტრი, თმიანი ჰიგ-

რომეტრი და ავგუსტის ფსიქომეტრი. საპრეპარატოში, სადაც სადემონსტრაციო ხელსაწყოები ინახება, მოწყობილია მცირე მოცულობის სახელმოსნო, რამდენიმე სამუშაო ადგილით, სადაც წარმოდგენილია ხელსაწყო-იარაღების აწყობა, რეგულირება, მცირე დაზიანებების შემთხვევაში შეკეთება და მოსწავლეთა ძალებით თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადება.

კაბინეტი შევსებულია ხელსაწყო-იარაღებით, სადემონსტრაციო ხელსაწყოები გამოყოფილია ფრონტალურ-ლაბორატორიული და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოებისაგან, ინახება კარადებში და მოვლილია. მინის ჭურჭელი და ქიმიური რეაქტივები ინახება ცალკე კარადაში სათანადო წესის დაცვით. ასევე კარგადაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტი ქ. თბილისის 52-ე (დირექტორი ა. მაკაგონი, კაბინეტის გამგე დ. კელსი), 53-ე (დირექტორი ლ. მარგველაშვილი, კაბინეტის გამგე ნ. ფეჩიშვილი), ხობის რაიონის პირველი მაისის (დირექტორი ვ. ბუკია, კაბინეტის გამგე დ. კობახიძე), ცხინვალის პირველ (დირექტორი ა. ქრისტესიაშვილი, კაბინეტის გამგე ს. ფუხაევი), ცხაკაიას მე-2 (დირექტორი ნ. გუგუნიავა, კაბინეტის გამგე თ. საბახტარიშვილი), ცხაკაიას მე-7 (დირექტორი ვ. ალანია, კაბინეტის გამგე კ. ხუბუა), თელავის მე-14 (დირექტორი ვ. მდივნიშვილი, კაბინეტის გამგე მ. ჭიჭაშვილი), თელავის რაიონის აკურის (დირექტორი ქ. ჭურკულაშვილი, კაბინეტის გამგე ვ. ბოჭორიშვილი) და სხვა სკოლებში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების კვალიფიციური და სათანადო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა კადრით, რომელთა უმრავლესობა მონდომებით მუშაობს ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ფიზიკის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისთვის. ამჟამად რესპუბლიკის 2659 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკას 4075 მასწავლებელი ასწავლის, მათ შორის სპეციალური განათლებით — 2982, უმაღლესი განათლებით — 3673, 2-3 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტდამთავრებულნი — 340, და საშუალო განათლებით — 62 მასწავლებელი.

შემოწმებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაციას, ფიზიკის სასკოლო ექსპერიმენტის ტექნიკას, გულმოდგინედ ემზადება ყოველდღიურად, სარგებლობს საჭირო მეთოდური ლი-

ტერატურით, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს, ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, პრაქტიკუმებს, საკონტროლო წერას და კიდევ აღწევს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ წარმატებას.

ქ. თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. კელსმა X⁴ კლასში მინიმალურ დროში შეამოწმა საშინაო დავალების შესრულება, ფრონტალური კითხვებით მოსწავლეთა მომზადების დონის გამორკვევა, ერთი ამოცანის ამოხსნა, სამი მოსწავლის ნიშანზე გადახება და კლასის მომზადება ახალ მასალაზე შეგნებულად გადასვლისათვის. მან მოსწავლეთათვის გააავები და დამაჯერებელი ენით გადასცა ახალი მასალა „უმარტივესი რადიომიმღები“, მან დაფაზე დაუხაზა რადიომიმღების სქემა, პირობითი ნიშნების სრული დაცვით, პარალელურად უჩვენა სქემაში ჩართული მიმღების ნაწილები. მოსწავლეებმა ამ დროს სადემონსტრაციო მაგიდაზე სქემის შესაბამისად წრედში ჩართეს ეს დეტალები და ღია სქემას აწყობის შემდეგ — წრედი, მიიღეს გადაცემა, რამაც მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაკვეთილის ეფექტურობა უფრო მეტად გაიზარდა, როდესაც მასწავლებელმა წრედში ჩართული რადიონაწყობის დაბალი სიხშირის გამაძლიერებლის ნაცვლად ჩართო ამ კლასის მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნახევარგამტარიანი დაბალი სიხშირის მინიატურული გამაძლიერებელი, რომელიც 4^ა ძაბვის მქონე ელემენტთა ბატარიით მუშაობს. წლების განმავლობაში ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში, IX-X კლასების 115 მოსწავლიდან, რომელთაც იგი ასწავლის, მხოლოდ 5 ვერ ასწრებს. ასევე კაოგად მუშაობენ ამავე სკოლის VII და IX კლასების (ი. გორდენკო) და VI, VIII და X კლასების მასწავლებლები.

ნაყოფიერ მუშაობას ატარებს ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი კ. ხვითარია. იგი სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, სარგებლობს დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით, სწავლებაში წარმატებით იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, გაკვეთილებზე მოსწავლეებს ფართოდ აცნობს ფიზიკისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, დიდ ყურადღებას უთმობს ამოცანებზე ვარჯიშს, დამტებით მუშაობას ატარებს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მკვიდრო კავშირი აქვს დამყარებული სხვა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან, სასწავლო

სახელოსნოებში მოსწავლეთა მიერ დამზადებულია თვითნაკეთი ხელსაწყოები, აწყობს ჩატარებული მუშაობის განზოგადებას, მეცნიერო-მეთოდურ ჟურნალებში პერიოდულად აქვეყნებს ტიებს და ჩატარებული მუშაობის შედეგად აღწევს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ წარმატებას. წლების მანძილზე მუშაობს მეორეწლიანობის გარეშე, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში, VII, VIII და X კლასების შეფასებული 239 მოსწავლიდან ვერ ასწრებს — 7, X¹ კლასში ჩატარებული მიულოდნელი წერის შედეგად გამოირკვა, რომ ამ კლასის 32 მოსწავლიდან ორ ვარიანტად მიცემული დავალება — სამი საკითხი (გამოანგარიშებითი და თვისობრივი ამოცანები) ყველა მოსწავლემ შეასრულა და მაღალი შეფასება („4“ და „5“) 18-მა მოსწავლემ დაიმსახურა. ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის მე-11 (მასწავლებელი მ. გოლდმანი), 50-ე (მასწავლებელი დ. ბოკუჩავა), 78-ე (მასწავლებელი ა. აგაევი), 111-ე (მასწავლებელი ა. პირკულოვა). ქ. ცხინვალის პირველი (მასწავლებელი ს. ფუხაევი), თელავის მე-4 (მასწავლებელი მ. ჭიჭაშვილი), ქ. ცხაკაიას მე-2 (მასწავლებელი თ. საბახტარაშვილი), ხობის რაიონის პირველი მაისის (მასწავლებელი დ. კობახიძე), ხეთის (მასწავლებელი თ. კიკნაძე), ჭიათურის მე-2 მასწავლებლები ნ. მოღდებაძე, გ. ტაბატაძე) და სხვა საშუალო სკოლების მასწავლებლები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქ. თბილისის მე-11 (ხელმძღვანელი მ. გოლდმანი), 52-ე (ხელმძღვანელი ლ. კელსი) და 87-ე (ხელმძღვანელი კ. ხვითარია) საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებანი, რომელთა სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა საერთო მომზადებისა და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლების, მეცნიერულ-თეორიული მომზადების, პედაგოგიური და მეთოდური დაოსტატების აქტუალური საკითხები.

ზოგიერთ შემოწმებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში კარგად მუშაობს ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის 52-ე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის გ. კოზირევის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა, რის შედეგადაც კაბინეტში შესაძლებელია ჩატარდეს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასკოლო ექსპერიმენტის მაქსიმუმი. მას შეუძლია დამოუკიდებლად, სადემონსტრაციო ცდების, ფრონტალურ-ლაბორატორიული. პრაქტიკუმების

მომზადება და ჩატარება. ასევე დიდ დახმარებას უწევენ მუშაობაში ფიზიკის მასწავლებლებს ქ. თბილისის 53-ე (ნ. ბუნაშვილი), 111-ე (ვ. ქურდაძე) და 124-ე (მ. გიორგაძე) საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტების ლაბორანტები.

რიგ შემთხვევებში სკოლებში დამაკმაყოფილებლად დაყენებულ კლასგარეშე მუშაობა. ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზიკის აკადემიურ წრეში (ხელმძღვანელი კ. ხვითარია) გაერთიანებულია 15 მოსწავლე, წრის სამუშაო გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებასა და საოლიმპიადო ხასიათის ამოცანების ამოხსნას. წრის წევრთა მიერ დამზადებულია გამტარების მიმდევრობითი და პარალელური შეერთების შესასწავლი და სხეულთა ურთიერთმოქმედების სადემონსტრაციო ხელსაწყოები. ამ წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 28-ე სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაში, სადაც ოთხი მოსწავლის ნამუშევარმა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ასევე, ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის ფიზიკის აკადემიური წრის (ხელმძღვანელი ი. ასტახოვა) წევრთა მიერ 1972-1973 სასწავლო წელს დამზადებულია 15 და მიმდინარე სასწავლო წელს 10 დასახელების სხვადასხვა თვითნაკეთი ხელსაწყო, რომლებსაც მასწავლებლები წარმატებით იყენებენ საგნის სწავლების პროცესში. წრის მიერ ჩატარებულია ფიზიკის დღია — საღამოები თემებზე „ხახუნი ბუნებასა და ტექნიკაში“, „კოსმოსი“, „არქიმედეს კახონი“, „სითბოსა და სიცივის სამყაროში“ და სხვ. ამასთან ერთად, სკოლაში მუშაობს მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. ასევე ნაყოფიერ მუშაობას ატარებს ქ. თბილისის 62-ე სკოლის ფიზიკის აკადემიური წრე (ხელმძღვანელი ლ. კელსი), სადაც წრის წევრთა მიერ დამზადებულია სტენდები: „ლენინი და ფიზიკა“, „გზა კომუნიზმისაკენ“, „საქართველო-50“, ელექტროფიციკრებული რუკა, საქართველოს ელექტროფიკაცია 1913 წლიდან დღემდე, რადიომიწოდებთა ღია სქემები, აეროდინამიკური მილი და სხვა. აგრეთვე დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის 53-ე (ხელმძღვანელები ნ. ფეჩუშვილი, ლ. კიკაბიძე), ხობის რაიონის პირველი მაისის (ხელმძღვანელი დ. კობახიძე) და ცხინვალის მე-6 (ხელმძღვანელი ტ. გასიევა) საშუალო სკოლების ფიზიკის აკადემიური წრეები.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, რესპუბლიკის შესწავლილი ქალაქებისა და რაიონების სკოლების ერთ ნაწილში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ფიზიკის სწავლებაში.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ მოეზადა ფიზიკის ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გაცვლისათვის; რიგ სკოლებში, განსაკუთრებით დამოუკიდებელ ფილიან სკოლებში, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1973 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით, რესპუბლიკის 1071 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი არა აქვს 420 სკოლას, ხოლო 1588 საშუალო სკოლიდან 84 სკოლას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალქალაქის რაიონი, სადაც 32 რვაწლიანი სკოლიდან კაბინეტი არა აქვს 15 სკოლას, ზობის რაიონის 11-დან 5-ს, ქ. ქიათურის 18-დან 11-ს, გარდაბნის რაიონის 21-დან 9-ს და ხაშურის რაიონის 12 სკოლიდან 7-ს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ არის გამოყოფილი საჭირო ფართობი ფიზიკის კაბინეტისათვის, ზოგან კი იგი შეუფერებელ ოთახშია მოთავსებული. სხვა შემთხვევაში ვხვდებით ისეთ მდგომარეობას, როცა კაბინეტისათვის გამოყოფილია საკმარისი ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოუწყობელია. არ არის მაგიდები მოსწავლეთა ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის, კარადები ხელსაწყო-იარაღებისათვის, მოუწყობელია დაბნელება და ელექტროგაყვანილობა.

ქ. თბილისის 50-ე (დირექტორი ლ. ჭინჭარაძე, კაბინეტის გამგე რ. ჩუევა) და გარდაბნის აზერბაიჯანულ (დირექტორი ტ. სადიკოვი, კაბინეტის გამგე ი. მამედოვი) საშუალო სკოლებში ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილი არაა სათანადო სათავსოები, ხელსაწყო-იარაღები უწყესრიგოდ ინახება მცირე ფართობის ოთახში და ფიზიკის გაკვეთილები საკლასო ოთახებში ტარდება ყოველგვარი სადემონსტრაციო ცდების გარეშე; გარდაბნის რაიონის ჯანდარის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ახმედოვი, კაბინეტის გამგე მ. გუსეინოვი) ფიზიკის, ქიმიის ხელსაწყოები და რეაქტივები მოთავსებულია ერთ ოთახში, რის შედეგად ჟანგდება და ზიანდება ხელსაწყოები. ამავე რაიონის თბილგრესის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. კოკაია, კაბინეტის გამგე შ. აფციაური) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილ ოთახში მოთავსებულია კარადები ფიზიკის ხელსაწყოებით, გეოგრაფიისა და მათემატიკის თვალსაჩინო მასალებით. ასევე კეთილმოუწყობელია და შევსებული არაა საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. გარდაბნის რუსული (დირექტორი გ. მუსაევი, კაბინეტის გამგე ბ. ცქვიტინიძე), ზობის პირ-

ველი (დირექტორი ა. ბერაია, კაბინეტის გამგე გ. ხასია), თელავის რაიონის კონდოლის (დირექტორი ვ. სვანიძე, კაბინეტის გამგე მ. კირვალაძე), ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის (დირექტორი ბაძე, კაბინეტის გამგე ვ. ბრეგვაძე), ცხაკაიას რაიონის ნოსირის (დირექტორი ქ. თოდუა, კაბინეტის გამგე ვ. ბუკია), თეკლათის (დირექტორი ვ. დიხამიჯია, კაბინეტის გამგე ბ. გვარამია), მაიაკოვსკის რაიონის ობჩის (დირექტორი შ. მშვენიაძე, კაბინეტის გამგე ქ. ქარჩილაძე), ქ. ცხინვალის მე-6 (დირექტორი ო. გასიევი, კაბინეტის გამგე ტ. გასიევა), მე-7 (დირექტორი ხ. ცხოვრებოვი, კაბინეტის გამგე ვ. ბიტიევი), ქ. თბილისის 111-ე (დირექტორი ე. ციციქიშვილი, კაბინეტის გამგე შ. მუმლაძე) და 117-ე (დირექტორი მ. სვანიძე, კაბინეტის გამგე რ. მეცხვარიაშვილი) საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტები.

რიგ შემთხვევებში არ წარმოებს კაბინეტების გეგმიანი შევსება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 3 აპრილის კოლეგიის დადგენილებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ მიხედვით, რის შედეგადაც ზოგან კაბინეტი გადატვირთულია ერთი და იგივე სახელწოდების ხელსაწყოებით მაშინ, როდესაც აუცილებელი ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობა კაბინეტს არა აქვს; ასე მაგალითად, თელავის რაიონის ბუშეტის რვაწლიანი სკოლის ფიზიკის კაბინეტისათვის შეძენილი აქვთ სადემონსტრაციო ელექტროზარი 12 ცალი, გალვანომეტრი — 6 ცალი, ზამბარიანი დინამომეტრი — 20 ცალი; ხობის პირველ საშუალო სკოლაში-ოსცილოგრაფი — 2 ცალი, რუმბიკორფის კოჭი — 3 ცალი, მეტრონომი — 4 ცალი; ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლაში — ორთქლის მანქანის მოდელი — 5 ცალი, ავენარიუსის ხელსაწყო — 5 ცალი და სხვ.

შემოწმებამ ნათელყო, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდ ნაწილში, განსაკუთრებით სოფლად, ფიზიკის კაბინეტები ჯერ კიდევ არაა შევსებული ყველა საჭირო მოწყობილობით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით.

ქ. თბილისის შემოწმებული საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტები, საშუალოდ, შევსებულია დემონსტრაციისათვის ზოგადი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით 70-80%-ით, მოწყობილობით მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისათვის —

40-50%-ით, მოწყობილობით პრაქტიკუმების ჩასატარებლად — 30-40%-ით, ლაბორატორიულ-დამხმარე მოწყობილობით, კიბრულითა და მასალებით — 20-25%-ით, სამუშაო იარაღებით — 15%-ით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით — 35-40%-ით, დიაბოზიტევიტითა და დიაფილმებით — 10-15%-ით. თელავის მე-4 საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტს, ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა ნუსხასთან შედარებით, არა აქვს: VI-VIII კლასებისათვის მოწყობილობა დემონსტრაციისათვის (საერთო ხელსაწყოები და მოწყობილობა) 57 ხელსაწყო ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმებისათვის — 324 ხელსაწყო, ლაბორატორიულ-დამხმარე მოწყობილობა, იარაღები, ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი, დიაფილმები, კინოფრაგმენტები და კინორგოლები კაბინეტში სრულიად არ არის. IX-X კლასებისათვის მოწყობილობა დემონსტრაციისათვის — 54 ხელსაწყო, ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმებისათვის — 237, დამხმარე მოწყობილობა, მასალები, ინსტრუმენტები, ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი, დიაფილმები, კინოფრაგმენტები და კინორგოლები კაბინეტს სრულიად არ გააჩნია.

ზოგჯერ კაბინეტში ხელსაწყოები არ არის ხმარებისათვისა მოხერხებულად მომზადებული და განლაგებული, არ ხდება მათი აწყოება, რეგულირება და მცირე დაზიანების შემთხვევაში შეკეთება. შემოწმებულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ეთმობა თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების დამზადებასა და გამოყენებას; ასე მაგალითად, თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლაში (კაბინეტის გამგე მ. კირვალიძე) აუწყობელი (შეფუთული) და გამოუყენებელი აღმოჩნდა საპროექციო ფარანი ოპტიკური დგამით, ტალღური მანქანა, ტინდალის ხელსაწყო კუთრი სითბოტევადობის სადემონსტრაციოდ; ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლაში (კაბინეტის გამგე რ. მეცხვარიაშვილი) აუწყობელი და გამოუყენებელი აღმოჩნდა ტელესკოპი, ტელური, ბაროგრაფი, ლამბრეხტის ჰიგრომეტრი, ელექტრომაგნიტური ტალღების თვისებების შესასწავლი ხელსაწყო და სხვა.

ზოგიერთ სკოლაში მოუგვარებელია ხელსაწყო-იარაღების, ჭურჭლისა და მასალების ზუსტი აღრიცხვის საქმე. არსებულ სააღრიცხვო ყურნალებში ადგილი აქვს მოწყობილობის გამოტოვებისა და დასახელების არასწორად შეტანის შემთხვევებს. ინვენტარიზაციის დროს არ ხდება კაბინეტების აღწერა და შედარება საინვენ-

ტარო წიგნთან, კმაყოფილდებიან. მხოლოდ სიების გადაწერით, რომ შემთხვევაში, კაბინეტების ჩაბარება-გადაბარება არ ფორმდება. თანადო აქტით, რაც ხელს უწყობს ხელსაწყობისა მწყობრდგანსაგანსა მოსვლას და ძნელი დასადგენი ხდება, თუ რა-ირიცხება კაბინეტზე; ასე მაგალითად, გარდაბნის რუსული საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში (დირექტორი გ. მუსაევი, კაბინეტის განგე ბ. ცქვიტინიძე) კარადების მინები ჩამტვრეულია, ხელსაწყობები დამტვერიანებული, უწყსარგოდაა დალაგებული სხვადასხვა ხელსაწყოა ნაწილები (ობტიკური მერხი, საპროექციო ფარნის დგარი, უნივერსალური ტრანსფორმატორი და სხვა), რაც იმას ნიშნავს, რომ ხელსაწყობები ყოფილა და მოუვლევლობით განიავებულა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ხაწილი სისტემატურად არ მუშაობს თავის თავზე, არ იმადლებს კვალიფიკაციას, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებად სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდს, ხერხებს, ფიზიკის სასკოლო ექსპერიმენტის ტექნიკას და დაბალ კადემიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. სუმბაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს, ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას სკოლაში, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის. არ ატარებს სანდემონსტრაციო ცდებს, ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, გაუსწორებელი რჩება გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და ზოგჯერ თვითონაც უშვებს მეცნიერული ხასიათის შეცდომებს. საკითხის შესწავლისათვის VII კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა დავალებად მიცემული მასალა „ორთქლად ქცევისა და კონდენსაციის კუთრი სათბო“, მაგრამ მასწავლებელმა მთელი რიგი შეცდომებით, მოსწავლეთათვის გაუგებრად მაინც „ახსნა“ ახალი მასალა „სითბური ძრავები“. მასწავლებელმა, იმის გამო, რომ წინასწარ არ ჰქონდა მომზადებული ელემენტთა ბატარია და პატარა ნათურა, ვერ შეძლო გაკვეთილზე გამოტანილი შიდაწვის ძრავას ჭრილზე დემონსტრაციის ჩატარება და მისი ნაწილების გაცნობა. ამ მასწავლებელს სუსტი მუშაობისათვის სკოლის დირექციამ ჩამოართვა ფიზიკის გაკვეთილები VIII-X

კლასებში, მაგრამ იგი მაინც არ აკეთებს სთანადო დასკვნას და VI-VII კლასებშიც ისევ მოუშადადებლად ატარებს გაკვეთილებს.

სუსტად მუშაობს ხობის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკოსი მასწავლებელი (გ. ხასია), რომელსაც დამთავრებული აქვს მის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იგი სათანადოდ ვერ ფლობს ახალი მასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ საკითხებს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ახალი მასალის ახსნის დროს უშვებს მეცნიერული და მეთოდური ხასიათის შეცდომებს; ასე მაგალითად, მის მიერ X კლასში ახსნილი გაკვეთილი — „ტალღები გარემოში“ იმდენად ბუნდოვანი და გაუგებარი იყო, რომ კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ახალი მასალა ვერ გაიგო. მას ამ გაკვეთილზე უნდა შემოეტანა ორი ახალი ცნება: „ტალღური ზედაპირი“ და „სხივი“, რის შესახებაც არაფერი უთქვამს და არ უჩვენებია დემონსტრაცია ტალღების მისაღები აბაზანის გამოყენებით. ამ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის განივი, გრძივი და მდგარი ტალღა, როგორც სხეულთა თაღვისუფალი რხევები, საკუთარი სიხშირე, რეზონანსის მოვლენა, ციკლური სიხშირე, ტალღის გავრცელების სიჩქარის დამოკიდებულება სიხშირეზე. ანალოგიური ხარვეზებით ხასიათდებოდა VIII კლასში ამ მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილი. მის სუსტ მუშაობაზე მეტყველებს აგრეთვე IX კლასში უახლოეს გავლილ მასალაზე ჩატარებული საკონტროლო წერა, სადაც 21 მოსწავლიდან ესწრებოდა 19 და არც ერთ მათგანს დადებითი შეფასება არ მიუღია.

ასევე სუსტად მუშობენ ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლის VIII-X კლასების ფიზიკის მასწავლებლები (რ. ჩუევა და ლ. გოგოძე). ისინი სათანადოდ არ მუშაობენ თავიანთ თავზე, კმაყოფილებიან ფიზიკის საკითხების ზერელე ცოდნით, ვერ წვდებიან ფიზიკურ მოვლენათა არსში, წინასწარ საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ მრავალჯერ გაფრთხილების მიუხედავად, არ ამზადებენ და ნაკლებად ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს, არ ატარებენ მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებს და ყოველივე ამის შედეგად დაბალია ამ კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში. IX² კლასში (მასწავლებელი რ. ჩუევა) ჩატარებულ საკონტროლო წერაში მოსწავლეებს ამოსახსნელად მიეცათ სტაბილური სახელმძღვანელოს სავარჯიშოდან აღებული ამოცანები, რომლებიც საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული, მაგრამ 23 მოსწავლიდან მას-

წავლებლის შეფასებით „5“ (ფრიადი) დაიმსახურა 2-მა მოსწავლემ და „3“ (საშ.) — 8 მოსწავლემ, ხოლო „2“ (ცუდი) და „1“ (ძალიან ცუდი) — 13 მოსწავლემ მიიღო. ზედამოწმებისას აღმოჩნდა, რომ „3“ (საშ.) დაიმსახურა 3-მა მოსწავლემ, ხოლო „1“ (ძლიერ ცუდი) და „2“ (ცუდი) 20-მა მოსწავლემ. X¹ კლასში (მასწავლებელი ლ. გოგოძე) 25 მოსწავლიდან საკონტროლო წერა შეასრულა 16-მა, რომელთაგან „3“ (საშ.), მხოლოდ 7-მა მოსწავლემ დაიმსახურა.

აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს და სათანადოდ ვერ ფლობს საგანს გარდაბნის რუსული საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ბ. ცქვიტინიძე. მას არ გააჩნია არავითარი მეთოდური ლიტერატურა ახალ სასწავლო პროგრამებში მოცემული საკითხები. სწავლების შესახებ, დავალებად მიცემული მასალის გამოკითხვისა და ახალი მასალის ახსნის დროს იცქირება რვეულში, იქიდან იღებს საკითხებს, კარნახობს და რვეულებში აწერინებს მოსწავლეებს. მასწავლებელს დიდი ჩამორჩენა აქვს საპროგრამო მასალის გავლაში; ასე მაგალითად, შემოწმების დღისათვის (22/XI-73 წ.) VIII კლასი ჩამორჩებოდა 10 საათით, IX კლასი — 18 საათით და X კლასი — 25 საათით. სკოლაში დაბალია მოსწავლეთა მომზადება ფიზიკაში, რასაც ისიც მოწმობს, რომ VIII კლასის 22 მოსწავლიდან წერთი დავალების შესრულება მხოლოდ 2-მა მოსწავლემ შეძლო.

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული ფიზიკის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ქ. თბილისის 117-ე (მასწავლებლები რ. მეცხვარიაშვილი, გ. ბერიძე), 124-ე (მასწავლებლები ნ. ხითარძე, თ. ქემოკლიძე), ცხინვალის პირველ (მასწავლებლები ა. გიუნაშვილი, ლ. მარგევი, თ. მინდიაშვილი), ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის (მასწავლებელი ვ. წოწონავა), თეკლათის (მასწავლებელი ბ. გვარამია), ნოსირის (მასწავლებელი ვ. ბუკია), თელავის მე-4 (მასწავლებელი ლ. ბაბოევა), თელავის რაიონის კონდოლის (მასწავლებელი მ. კირვალიძე), ახალქალაქის პირველი (მასწავლებელი ვ. აღაბაბიანი) და მაიაკოვსკის რაიონის ობჩის (მასწავლებელი ქ. ქარჩილაძე) საშუალო სკოლების რიგ კლასებში.

ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებლები ა. აღნიაშვილი, ა. ბარსკი, ი. ასტახოვი რიგ შემთხვევაში არ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ზოგჯერ თვით მასწავლებლებიც კი უშვებენ არაზუსტ გამოთქმებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რიგ სკოლებში არ ატარებენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ სამუშაო-

ოებს, ან ზოგჯერ ატარებენ ერთი ან რამდენიმე კომპლექტი ხელსაწყოთი ისე, რომ მუშაობს ერთი მოსწავლე ან, უკეთეს შემთხვევაში, მასწავლებელი და კლასის დანარჩენი მოსწავლეები იწერენ ცდის შედეგად მიღებულ მონაცემებს. ამ მიზნით მასწავლებლები სრულიად არ იყენებენ მასწავლებელი სკოლების შესაძლებლობას და თვითნაკეთ ხელსაწყოებს; ასე მაგალითად, თელავის რაიონის რუისპირის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ც. გიორგობიანი) რიგი დერდვევებით ჩატარდა მე-3 ლაბორატორიული სამუშაო სითხის ზედაპირული დაჭიმულობის განსაზღვრაზე. აქლდა ხელსაწყოთა კომპლექტები (ერთ მაგიდაზე, ორის ნაცვლად, 5-6 მოსწავლე მუშაობდა). ზუსტად ვერ გაზომეს ბუნიკის არხის დიამეტრი, კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა VI კლასში შესწავლილი სასწორით აწონის წესები და სხვა.

შემოწმებული სკოლების ზოგიერთ კლასში უახლოესი განვლილი საპროგრამო მასალიდან მასწავლებელთა მიერ შერჩეულ საკითხებსა და აშოცანებზე ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა ნათელყო, რომ დაბალია მოსწავლეთა მომზადება:

ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი შ. მუმლაძე) 30 მოსწავლიდან წერთი დავალება ვერ შეასრულა 9 მოსწავლემ, 117-ე საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი გ. ბერიძე) 30 მოსწავლიდან — 15-მა, 124-ე საშუალო სკოლის X კლასის (ნ. ხითარძე) 35 მოსწავლიდან — 12-მა, ამავე სკოლის IX კლასის (მასწავლებელი გ. აბზიანიძე) 29 მოსწავლიდან — 16-მა, გარდაბნის რაიონის თბილგრესის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი შ. აფციაური) 8 მოსწავლიდან — ვერც ერთმა, გარდაბნის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ი. მამედოვი) 29 მოსწავლიდან — 18-მა, ჯანდარის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. გუსეინოვი) 28 მოსწავლიდან — 17-მა, აქთაკლის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ე. მამედოვი) 30 მოსწავლიდან — 26-მა, თელავის მე-4 საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ე. გოგიაშვილი) 21 მოსწავლიდან (წერას ესწრებოდა 16) — 10-მა, კონდოლის საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი ვ. ბოჭორიშვილი) 18 მოსწავლიდან ვერც ერთმა. ანალოგიური მდგომარეობაა ამ მხრივ ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის VIII და X კლასებში.

ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლის VI-X კლასებში მოსწავლეები არ იცავენ ამოცანის პირობისა და ამოხსნის ჩაწერის მეთოდურად გამართლებულ, რაციონალურ და მოხერხებულ წესებს. მელთა მიხედვითაც უნდა ხდებოდეს როგორც საკონტროლო წერის, ასევე საკლასო-სამინაო წერითი დავალების რვეულებში და საკლასო დაფაზე წერითი დავალების ჩაწერა. აგრეთვე სკოლაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეები არ ცხადდებიან საკონტროლო წერაზე. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ჩატარებულ საკონტროლო წერაზე VI² კლასში 41 მოსწავლიდან ესწრებოდა 33, VII³ კლასში 38-დან — 27 და X¹ კლასში 34-დან 25 მოსწავლე.

რიგ შემთხვევებში სკოლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა (გარდაბნის რუსულ და თელავის რაიონის რუისპირის საშუალო ხასიათის ამოცანებზე ვარჯიშს, ცუდად აწარმოებენ მოსწავლეთა საკლასო-სამინაო წერითი დავალების რვეულებს, მასწავლებლები არ ასწორებენ პერიოდულად, ზოგან საკონტროლო წერები არ ტარდება მეოთხედში ერთხელ (თელავის მე-4 საშუალო სკოლის VI და IX კლასებში), ზოგჯერ საკონტროლო წერები ფურცლებზე ტარდება ვარდაბნის რუსულ და თელავის რაიონის რუისპირის საშუალო სკოლებში) და დაგვიანებით სწორდება (ქ. ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის X კლასებში).

რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა დაბალი მომზადების დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილე VII-X (XI) კლასების 266 მოსწავლიდან „0“, „1“ და „2“ ქულა 106 მოსწავლემ მიიღო და ნორჩ ფიზიკოსთა VII საკავშირო ოლიმპიადაში რესპუბლიკიდან წარგზავნილი 12 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გამარჯვება.

თითქმის ყველა შემთხვევებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების დროს მასწავლებლები არ სარგებლობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საორიენტაციო ნორმებით ფიზიკაში, რის შედეგადაც, უმრავლეს შემთხვევაში, მოსწავლეთა ცოდნა ლიბერალურად ფასდება.

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული კლასგარეშე მუშაობა ფიზიკაში. ზოგჯერ სკოლაში შექმნილია საგნობრივი აკადემიური

წრე, მაგრამ ის ფორმალურ ხასიათს ატარებს. ღარიბია საწრეო მუშაობის თემატიკა. წრის სამუშაო გეგმაში უმეტესად შეტანილია საპროგრამო საკითხები იმ მოცულობით, როგორც ეს სტაბილური სახელმძღვანელოშია მოცემული. ასევე, წრეობრივი მუშაობის მასში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რთულ ამოცანებსა და მაგალითებზე ვარჯიში, თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადება და სხვა.

ახალქალაქის რაიონის ახალქალაქის I-ლი, მე-4, ხანდოს, ქ. თბილისის 111-ე და გარდაბნის რუსულ საშუალო სკოლებში სრულიად უგულვებელყოფილია წრეობრივი მუშაობა ფიზიკაში. ქ. თბილისის 78-ე და ცხინვალის პირველ საშუალო სკოლებში VI-X კლასების მოსწავლეები ერთ აკადემიურ წრეშია გაერთიანებული. ქ. თბილისის 124-ე და ხობის პირველ საშუალო სკოლებში ფიზიკის წრე ფორმალურადაა ჩამოყალიბებული, არ ტარდება პრაქტიკული მუშაობა და ფიზიკის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ვარჯიში საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე..

რიც სკოლებში სწორად არ ხდება ლაბორანტთა კადრების შერჩევა და ამ თანამდებობაზე ინიშნება შემთხვევითი პირები, რომლებიც ვერ ფლობენ ფიზიკის სწავლების ექსპერიმენტის ტექნიკას. ისინი არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ 1948 წლის 27 მაისს დამტკიცებულ მითითებებს საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის მუშაობის შესახებ და სკოლის ხელმძღვანელობა არ მოითხოვს მის განუხრელად შესრულებას. მათ დახელოვნებაზე არ ზრუნავენ მასწავლებლები, არ ეხმარებიან მათ ყოველდღიურ მუშაობაში; ეს ნაწილობრივ ამითაცაა გამოწვეული, რომ სკოლებში გამოყენებული არაა სწავლების ტექნიკური საშუალებანი, ზუსტად არაა აღწერილი ფიზიკის კაბინეტი, მოუვლელი და გამოუყენებელია ხელსაწყო-იარაღები.

ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ საათები დაქუცმაცებულია; ასე მაგალითად, თელავის მე-4 (დირექტორი ვ. მდივნიშვილი) და მაიაკოვსკის რაიონის ოზჩის (დირექტორი შ. შშვენიერაძე) საშუალო სკოლებში ფიზიკის 32-32 სათი განაწილებულია 3-3 მასწავლებელზე, ახალქალაქის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. მანუკიანი) 63 საათი — 4 მასწავლებელზე, ახალქალაქის მე-4 საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. აზნაურაიანი)

30 საათი — 3 მასწავლებელზე, ახალქალაქის რაიონის ხანდოს საშუალო სკოლაში დირექტორი (მ. ნუხიანს დამატებული აქვს ახალქალაქის პედაგოგიური სასწავლებლის აწვლის VII კლასებს) და რ. გალოიანს — ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი (ასწავლის ფიზიკას VIII კლასებში და ასტრონომიას X კლასებში). აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ახალქალაქის პირველ საშუალო სკოლაში თითოეული მასწავლებლის პედაგოგიური დატვირთვა 28-30 საათს შეადგენს, ახალქალაქის მე-4 საშუალო სკოლაში ს. აბაჯიანს აქვს 31 საათი, ახალქალაქის რაიონის ხანდოს საშუალო სკოლაში ს. მანასიანს — 37 საათი, რ. გოლოიანს — 28 საათი და რ. მელიქიანს — 26 საათი.

სკოლებში ფიზიკის სწავლებაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ სკოლების ერთ ნაწილში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და იშვიათად წარმოებს მასწავლებელთა შორის გამოცდილებების გაზიარება-განზოგადება. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებელთა მუშაობას, ისინი იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე, კმაყოფილებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსგეღობის უბრალო აღწერით, არ ახდენენ გაკვეთილების გაანალიზებას, ღრმად ვერ წვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის; ასე მაგალითად, ზობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბერაიას შემოწმების დღისათვის მოსმენილი ჰქონდა 1 გაკვეთილი, თელავის რაიონის კონდოლისა და რუისპირის საშუალო სკოლების დირექტორების მოადილეებს სასწავლო მუშაობის დარგში ა. ფეიქრიშვილსა და შ. მორბელაძეს ფიზიკის გაკვეთილი არ მოუსმენიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალქალაქისა და სხვა რაიონების შემოწმებულ სკოლებში დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში უმთავრესად ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებია და სათანადო დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევენ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს.

ჩვენი აზრით, ფიზიკის სწავლების მდგომარეობის საკითხი სასურველია განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის
შემადგენლობა:

1. დ. გვალია
2. მ. გუსეინოვი
3. ბ. თალაკვაძე
4. ვ. სუსუბერიძე
5. ჯ. კიკნაძე
6. ლ. მნათობიშვილი
7. ბ. ორჯონიძე
8. ბ. სანაძე
9. ე. სურგულაძე
10. შ. სურგულაძე
11. ს. ტონია ((ხელმძღვანელი)
12. ა. შაგინიანი
13. ბ. ჯავახიძე
14. რ. ჯაფიაშვილი

შ ი ნ ა რ ს ი

1. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა „1973—1974 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ“ 3
2. დებულება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა 7
3. ბრძანება № 64—სასკოლო პედაგოგიური ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 11
4. ბრძანება № 72—ქ. ვიათურის, იბაშის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, შაია-შაიაკოვსკის, სამტრედიის, ნაჩხერიის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ 14
5. ბრძანება № 73—ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ადიგენის, ასპინძისა და ხაშურის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ 22
6. დადგენილება—საქართველოს ალკკ ცენტრალურა კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა 1974 წლის ზაფხულის არდადეგების დროს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასიელ მოსწავლეთა საზაფხულო პრაქტიკულ სამუშაოებში მასობრივი მონაწილეობის შესახებ 30
7. ფორმა № 1—ცნობა 36
8. ფორმა № 2—ხარისხობრივი ანალიზი 37
9. ფორმა № 3—ხარისხობრივი ანალიზი 38
10. ფორმა № 4—ცნობა 39
11. დადგენილება—1974 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობებზე და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექნიკუმების მოსწავლეთა, ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლებს უფროსკლასიელ და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობისათვის საორგანიზაციო კომისიის დამტკიცების შესახებ 40



12. ბრძანება № 74—ქ. თბილისის საშუალო სკოლებში სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ	
13. ბრძანება № 75—საგურამოს სკოლა-ინტერნატის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატად გადაკეთების შესახებ	52
14. საბჭოთა კავშირის გმირის—პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის საგურამოს რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში 1974—1975 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღების პირობები	55
15. ბრძანება № 93—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	57
16. ბრძანება № 108—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	74
17. შინაარსი	102

